საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი, 11 ივლისი. 2020 წ. №86 (9012) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

„კაცობრიობის მომავალი ეკუთვნით არა გლობალისტებს, არამედ - პატრიოტებს“!

6-7

მირიან ნიკოლაძე:
ექსპერტიზის დასკვნით გიორგი შაქარაშვილი მოკლულია!



ექსპერტიზის დასკვნით, ცალსახად არის დადასტურებული, რომ გიორგი შაქარაშვილი მოკლეს, მოკლეს ჩვენი შვილი და შემდეგ ის გადააგდეს მდინარე არაგვში, – ეს განცხადება მირიან ნიკოლაძემ გუშინ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა.

„გენერალურმა პროკურატურამ გამოაქვეყნა ექსპერტიზის დასკვნა გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამ ექსპერტიზის დასკვნას ოჯახი ველოდით ძალიან დიდხანს, იმ თვალსაზრისით, რომ ის იყო ერთ-ერთი გარდამტეხი ეტაპი გამოძიებაში. ამ ექსპერტიზის პასუხის მიხედვით უნდა დაგვედასტურებინა ჩვენი პოზიცია, რამდენად რეალური იყო ოჯახის ვერსია გიორგის განზრახ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით“...

ფეხზე ცხვარივით გამობმული სტრატეგია!

3

ეპტრეპავლობა

12 ივლისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო იხსენიებს მოციქულებს პეტრეს და პავლეს.

კერძოდ, ცნობილია, რომ პეტრე მოციქული ჯვარს აცვეს (მისივე თხოვნით თავდაღმა), ხოლო პავლეს თავი მოჰკვეთეს.

...მოციქული პეტრე, მანამდე სიმონად წოდებული, გალილეის ბეთსაიდელი მებადურის – იონას ვაჟი და ანდრია პირველწოდებულის ძმა იყო, რომელმაც იგი ქრისტესთან მიიყვანა... ძლიერმა და სულით მხურვალე პეტრემ, ბუნებრივია, რომ ქრისტეს მოციქულთა დასში გავლენიანი ადგილი დაიკავა, მან პირველმა აღიარა ქრისტედ, ანუ მესიად უფალი იესო ქრისტე, რისთვისაც სახელწოდებად კლდე (პეტრე) მიიღო. პეტრეს სარწმუნოების ამ კლდეზე, უფალმა თავისი ეკლესიის შექმნა აღგვითქვა, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი „ვერ ერეოდიან“. უფლის ჯვარცმის წინადღეს, მისი სამგზის უარყოფა, მოციქულმა პეტრემ სინანულის ცრემლებით ჩამოიბანა, რის შედეგადაც, თავისი აღდგომის შემდეგ, უფალმა კვლავ აღადგინა იგი მოციქულის ღირსებაში...

...პავლე თავდაპირველად ებრაულ სახელს – სავლეს ატარებდა. უფალმა „რჩეული ჭურჭელი“ შეიცნო და დამასკოს გზაზე სამოციქულო მსახურებისთვის მოუწოდა. მსგავსად პეტრესი მას მრავალი ეპისტოლე აქვს დაწერილი. ორივენი ქრისტეს ეკლესიის „სვეტად“ და მოციქულთა თავად ითვლება. პეტრეპავლობის დღესასწაული მეორე დღესაც გრძელდება.

ის ჩვენს მიწისქვეშა წარსულს აცოცხლებდა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ღვაწლმოსილი არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ოთარ ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 11 VII, ჭავჭავაძის გამზირი №62, მე-6 სადარბაზო, მე-6 სართ.

გამოსვენება 12 VII თსუ-ს I კორპუსის ეზოში მდებარე წმინდა დავით აღმაშენებლის ეკლესიიდან 14 სთ-ზე.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 14 ივლისს

გიორგი გახარია: ზოგიერთი ჩვენი ვაიპოლიტიკოსის გამო!..

ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები არიან ჩვენი ყველაზე ახლო სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები. მათი მხრიდან გამოხატული თითოეული საკითხი ჩვენთვის ყურადსაღებია, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ზუსტად ასე იყო საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. ამიტომ, პროცესია ეს. სამწუხაროდ, ეს პროცესი, ზოგიერთი ჩვენი ვაიპოლიტიკოსის გამო, არის მცდელობები, რომ ჩვენი უცხოელი პარტნიორები ჩათრეულნი იყვნენ შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებებში, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებს აშშ-ის მიერ საქართველოსთვის დაფინანსების სავარაუდო შემცირებასთან დაკავშირებით საუბრისას განუცხადა.

„ეს არის ცუდი, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს რომელიმე პოლიტიკურ ძალას კი არა, ქვეყანას ვნებს. ახლა ყველა უნდა დავწყნარდეთ, დავმშვიდდეთ. უნდა გვესმოდეს, რომ კარგად ჩატარებული არჩევნები ჩვენი საერთო მიზანია. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ამაზე. არა აქვს არანაირი მნიშვნელობა, ეს ოპოზიცია იქნება, თუ მმართველი პარტია, ყველამ ერთად, ღირსეულად, დემოკრატიულად უნდა ჩავატაროთ ეს არჩევნები. ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა. მოგეხსენებათ, რომ, ჯერჯერობით, ესაა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც კომიტეტებს გადის. რა თქმა უნდა, ამაში სასიამოვნო არაფერია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველას გვესმის ის პუნქტები, რომელიც იქ ჩამოთვლილია, ქვეყანა, საქართველო, ყოველდღიურად პროგრესირებს და ეს ჩვენმა კოლეგებმაც ძალიან კარგად იციან. ის წინასაარჩევნო მაღალი პოლიტიკური ტემპერატურა და პოლიტიკური დაძაბულობა, როგორც ჩანს, გარეთაც გადის, მაგრამ, მოგეხსენებათ, ზუსტად მსგავსი ინტერპრეტაციები მახსოვს, როდესაც საუბარი იყო საკონსტიტუციო ცვლილებებზე, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს, რომ ამ ცვლილების მიღების შემდგომ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების შეფასებები იყო შესანიშნავი. მათ ძალიან კარგად დაინახეს, რომ ქართული დემოკრატია პროგრესირებს. რა თქმა უნდა, ჩვენ წინ გვაქვს არჩევნები, რომელიც უნდა ჩავატაროთ დემოკრატიულად, გახსნილად, ღიად და კონკურენტულ გარემოში, რასაც, რა თქმა უნდა, გავაკეთებთ“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ნომერი ვიქნები, ახლა მთავარია, სანიმუშო არჩევნები ჩავატაროთ

საარჩევნო სიაში მე ვიქნები ბოლო ნომერი. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ნომერი ვიქნები, გულწრფელად გეუბნებით, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

„ჩემი და მთავრობის ძირითადი ამოცანა დღეს არის, პირველ რიგში, პანდემია, ის, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვაკონტროლოთ თითოეული ჩვენი მოქალაქის ჯანმრთელობის რისკები, მეორე ამოცანა უკიდურესად ასევე მნიშვნელოვანი — ჩვენი ეკონომიკური აღორძინება და მესამე ამოცანა, ამ ორი კრიზისის პირობებში წყნარად, მშვიდად, დემოკრატიულად და ღიად ჩავატაროთ არჩევნები. ამ სამი უდიდესი გამოწვევის პირობებში ან მე, ან რომელიმე მთავრობის წევრს აქვს დრო იმისთვის, რომ ვიმსჯელოთ, პირველი სიაში ვინ იქნება ან მეორე?!. სიაში ვინ რომელი იქნება, ან რომელი პარტია უფრო მეტ ხმას მიიღებს ამას კი არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია ქვეყანამ, ოპოზიციამ, მმართველმა ძალამ, სამოქალაქო საზოგადოებამ ყველამ ერთად უნდა ჩავატაროთ სანიმუშო არჩევნები, ეს არის ის გასაღები, რომელიც ბევრ სპეკულირებას, რომელსაც ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსი ქმნის, ერთხელ და სამუდამოდ დაესმება წერტილი“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

კახა ბექაური: კანონის დარღვევის შემთხვევაში მაუწყებლობა ვერ იქნება იმუნიტეტი

— **განაცხადა** კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარემ კახა ბექაურმა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე. მისივე თქმით, კომუნიკაციების კომისიას დღეს მოქმედი კანონმდებლობით, აქვს უფლებამოსილება, დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შეუჩეროს ავტორიზაცია მაუწყებელს.

„დღეს მაგთიკომი და სილქნეტი ამავდროულად მაუწყებლები არიან და დამეთანხმებით, რომ მაუწყებლად გახდომა იმუნიტეტი ვერ გახდება კანონდარღვევის შემთხვევაში. კანონპროექტის მიხედვით მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ მაუწყებლებს ეს ცვლილება არ ეხება, მაგრამ რედაქციულად თუ არის რამე შესაცვლელი, პარლამენტი საბოლოოდ მიღებამდე თუ საჭიროდ მიიჩნევს, ამ დაზუსტებას გააკეთებს. ინტენსიურად ვმუშაობთ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტთან და ჩვენი მიზანიც ის არის, რომ მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვანი მექანიზმი შემოვიღოთ, რომელიც ეხება კონცენტრაციას და ამან რადიკალურად შეიძლება შეცვალოს მომხმარებლის და ბაზრის ინტერესი“, — განაცხადა კახა ბექაურმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ შევიმუშავეთ თავდაცვის ძალების 10-წლიანი განვითარების გეგმა

ჩემი დავალებით შევიმუშავეთ თავდაცვის ძალების გრძელვადიანი, 10-წლიანი განვითარების გეგმა, 2030 წლამდე როგორი უნდა იყოს ჯარი, როგორი გვესახება ჩვენი ჯარის განვითარება, როგორი შეიარაღება უნდა ჰქონდეს ჩვენს ჯარს, რა მასშტაბი უნდა ჰქონდეს ჩვენს ჯარს და ზოგადად როგორ უნდა განვავითარო ჩვენი თავდაცვის ძალები,** — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა „ღია ეთერში“ განაცხადა.

„თავიდან ჩემი საზრუნავი იყო ძირითადი საბაზისო პრობლემების აღმოფხვრა, როგორიც არის რემონტი, პირადი ეკიპირება, კვება, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა, ხელფასები, ახლა ყველაფერთან ერთად ჩემი მთავარი საზრუნავია ჩვენი ჯარის გრძელვადიან განვითარება. ასეთი მიდგომით ერთბაშად გადავწყვეტთ ძალიან დიდ პრობლემას, რომელიც შეეხება ჩვენი ჯარის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. გვაქვს ზუსტი ხედვა და გეგმა რა შეიარაღების ყიდვას ვგეგმავთ, ვისგან და ყველაფერი იქნება ნატოს სტანდარტის შესაბამისი. ჩვენ ეტაპობრივად გადავდივართ ნატოს სტანდარტებზე.

გარდა შეიარაღებისა, ჩემი ხედვა ეფუძნება ძლიერი რეზერვის სისტემის განვითარებას. დღეს ჩვენს ქვეყანას არ აქვს იმის კომფორტი, რომ მრავალრიცხოვანი არმია შეინახოს, მაგრამ 30 წლამდე ჩვენ თუ იმ ტემპებით განვვითარდებით, რომელიც ჩემს ხედვაში მაქვს განსაზღვრული, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ გვყავდეს დაახლოებით 80-დან 100 ათასამდე მომზადებული რეზერვის ოფიცერი. ეს არის სერიოზული განაცხადი და გეგმა,რომელიც მე წარვუდგინე თავდაცვის ძალების მთელ შემადგენლობას და მათთან ერთად ვმუშაობ ამ გეგმის განხორციელებაზე“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მარინა ეზუგბაია: ქართველი „ავღანელების“ მდგომარეობა სტაბილურია

მარინა ეზუგბაიას განცხადებით, 28 ქართველი სამხედროს მდგომარეობა, რომლებსაც ავღანეთში კორონავირუსი დაუდასტურდა, სტაბილურია.

საქართველოს თავდაცვის ძალების ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ ავღანეთში როტაციით მყოფი კონტინგენტიდან 28 სამხედრო მოსამსახურე სპეციალური რეისით გერმანიის საჰაერო ძალების სამხედრო თვითმფრინავით, როტაციით გათვალისწინებულ ვადამდე რამდენიმე კვირით ადრე, საქართველოში ჩამოიყვანეს.

ალექსანდრე ხოჯევანიშვილი: საქართველოს მთავარ გამოწვევად კვლავ რუსული ოკუპაცია რჩება

ძვეყნის მთავარ გამოწვევად ოკუპირებული ტერიტორიების მზარდი მილიტარიზაცია, ქართული მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, თავისუფლად გადაადგილების ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა და ოკუპირებული ტერიტორიების მიზანმიმართული იზოლაციის პროცესი რჩება“, — ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ უწყების 2019 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა. ალექსანდრე ხოჯევანიშვილის თქმით, რუსეთის ფედერაცია 2019 წელსაც განაგრძობდა ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ე.წ. პოლიტიკური სპექტრის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას.

ანგარიშის წარდგენისას, მან ასევე აღნიშნა, რომ კვლავ მწვავედ დგას ოკუპირებულ რეგიონებში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაციის პრობლემა, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლისა და ასიმილაციისკენ მიმართული პოლიტიკა, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ქონებრივი უფლებების შეზღუდვა და რეგიონში დაბრუნების გამორიცხვის მიზნით მათი სახლების განადგურება.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფლობს ინფორმაციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე უკანონო პროცესების შესახებ. სამსახურის მიერ ხორციელდებოდა აღნიშნულ პროცესებში ჩართული პირებისა და ე.წ. ორგანიზაციების იდენტიფიცირება. მიმდინარეობდა საერთაშორისო ფორმატების გამოყენება ოკუპირებულ რეგიონებში დადასტურებულ უკანონო აქტივობებზე, მათ შორის, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის შევიწროებაზე რეაგირების მიზნით“, — განაცხადა ხოჯევანიშვილმა.

* * *

„კორუფციასთან ბრძოლის ფარგლებში, 2019 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 91 საქმეზე. ხოლო, ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 135 პირი, მათ შორის, ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის, სამსახურებრივი გულგრილობის, თაღლითობის, უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და სხვა ფაქტებზე. გატარებული ღონისძიებების შედეგად, დაკავებულ იქნა არაერთი საჯარო მოხელე“, — ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ უწყების 2019 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

ანგარიშის წარდგენისას ალექსანდრე ხოჯევანიშვილმა განაცხადა, რომ საჯარო სექტორში კორუფციის პრევენციის თვალსაზრისით, სამსახურისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს კორუფციულ დანაშაულებზე ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

„კორუფციის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, გასულ წელს მნიშვნელოვნად გაძლიერდა სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობები. სააგენტოს შემადგენლობაში შეიქმნა კორუფციის პრევენციის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს კორუფციის აცილება-გამოვლენის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, საჯარო სექტორში კორუფციის რისკების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას“, — ნათქვამია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშში.

ეროვნული მოძრაობის ფესვებთან დაბრუნება

არჩევნებამდელ პერიოდში ამომრჩეველში სიმპათიის აღმძვრელი და ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი შეთავაზებაა ეროვნული მოძრაობის ფესვებთან დაბრუნება. თითქმის ყველა პარტია ცდილობს, ხაზი გაუსვას საკუთარ თვითმყოფადობას, ეროვნულობისთვის ზრუნვას, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ პრინციპის ერთგულებას.

ეს გასაკვირი არც არის, რადგან ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს დღემდე აქვს ნოსტალგია ეროვნული მოძრაობის პერიოდის მიმართ, როცა დისიდენტური მოძრაობა ძლიერი იყო, მთელი ერი იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, განწყობა ყველას ერთნაირი გვქონდა და გვყავდა თავგანწირული ეროვნული ლიდერები, რომლებსაც, დღევანდელი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, მერკანტილური ინტერესები ან ვინმეს მარიონეტობა არ ახასიათებდათ. იმ პერიოდში ადამიანის სახელი მაინც ფასობდა და მაშინდელი პოლიტიკოსები ცდილობდნენ, საკუთარი თავისთვის ღირსება არ შელახათ.

დღეს რა პერსპექტივა აქვს ეროვნული თემების წინ წამოწევას? **კახა კუკავა** მიიჩნევს, რომ 30-წლიანი წყვეტის შემდეგ ეროვნული მოძრაობის მსგავსი უნდა დაბრუნდეს ჩვენს პოლიტიკაში, რისი პრეტენზიაც თავად გააჩნია, რადგან სხვა პარტიებისგან განსხვავებით, მისი პარტია არ არის „დაშლილისგან აწყობილი“, ანუ ერთი პარტიის დაშლის შემდეგ მეორეში გადანაცვლებული.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიიჩნევს, რომ ეროვნული მოძრაობის იმ სახით დაბრუნება, რა სახითაც ჩვენ ის გვახსოვს 90-იან წლებში, წარმოუდგენელია. იმ პერიოდში სხვა მისია ჰქონდა ეროვნულ მოძრაობას, ამიტომაც ერქვა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა, იმ დროს ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით. დღეს კი დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა ვართ, ეროვნული მოძრაობის მისია შესრულებულია. ამდენად, დღევანდელი ეროვნული მოძრაობა იქნება პარტიების განვითარება, უკეთესი მომავლის შენება, უფრო მძლავრი სახელმწიფოს შექმნა, საქართველოს უსაფრთხოება და კეთილდღეობა.

„თუ ეროვნული მოძრაობის აღორძინებაში გულისხმობენ ეროვნულ ინტერესებზე, ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებულ პარტიებს, ამის გაკეთება შესაძლებელია. უფრო მეტიც, საქართველოში, რომელიც იმთავითვე ტრადიციული ღირებულებების მქონეა, არ შეიძლება არაეროვნული პარტიების, ლიბერასტების არსებობა. ეროვნულ მოძრაობაში თუ იგულისხმებიან ამ მოძრაობის ვეტერანები, ანუ ის ხალხი, რომელთა ჯგუფსაც მეც ვაკუთვნებ თავს, ჩვენ შეიძლება ვიყოთ როგორც გულშემატკივრები, როგორც ერთგვარი კლუბი ან საზოგადოებრივი მოძრაობა, მაგრამ პოლიტიკური ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ზოგიერთი ჩვენგანი კი მონაწილეობს პოლიტიკაში, ზოგსაც თავისი პარტია აქვს, მაგალითად, არის ძველი, ტრადიციული, ეროვნული მოძრაობის დროინდელი პარტიები — „ტრადიციონალისტთა კავშირი“, „სახალხო პარტია“, იმედი მაქვს, მათ ამ სიტუაციაში შანსი ექნებათ, თითო-ოროლა კაცი გაიყვანონ პარლამენტში. მით უმეტეს, ჩვენს ხალხში არის ეროვნული მოძრაობის დროინდელი ნოსტალგია, იმ პერიოდში ასეთი სიბინძურე არ ხდებოდა“, — აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა for.Ge-სთან საუბარში.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** ფიქრობს, რომ ეროვნულ მოძრაობას უკვე აზრი დაეკარგა. თავის დროზე ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა თავისი დანიშნულება, მიზანი, არსი, მაგრამ დამოუკიდებელ საქართველოში 30 წლის შემდეგ რომელ ეროვნულ მოძრაობაზეა საუბარი და ვის ვებრძვით?!

„კი ბატონო, თუ ვებრძვით რუს ოკუპანტს, ეს ეროვნული მოძრაობის გარეშეც შეიძლება გავაკეთოთ. ეროვნული მოძრაობა ხშირად იყო დისიდენტური ტიპის გაერთიანება, რომელიც ებრძოდა იმდროინდელ მმართველ პოლიტიკურ ძალას, კომუნისტურ ძალას. როგორც კი ზვიად გამსახურდია და მისი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები მოვიდნენ ხელისუფლებაში, ეროვნულ მოძრაობაზე საუბარი დასრულდა. ეროვნულმა მოძრაობამ თავისი როლი ითამაშა ქართულ უახლეს ისტორიაში, საკმაოდ დადებითი, პოზიტიური, შეიძლება ზოგჯერ არაპოზიტიური როლიც, მაგრამ, ელემენტარულად, ეს არის ისტორიის ნაწილი. ისტორიის ხელახალი რეანიმაცია არ არის სწორი. ღმერთმა დაგვიფაროს, საქართველო თუ კიდევ გახდა ოკუპაციის მსხვერპლი და საქართველოს მთავრობას მოუწია ქვეყნის გარეთ გაქცევა, ასეთ დროს ეროვნული მოძრაობის მეორე ტალღა შეიძლება დაიწყოს“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ამასთან, განმარტავს, რომ თითოეულ პოლიტიკურ პარტიას საქართველოს იუსტიციის სამინისტროში აქვს ანალოგიური ტიპის ლოზუნგები, მათ შორის, „ნაცმოძრაობასაც“ რომ ვკითხოთ, გვეტყვის, ჩვენთვის მთავარია ქართული სულის აღორძინება. ვახტანგ მაისაიას აზრით, ამას გაიმეორებს ყველა, მათ შორის, მარგინალური „რესპუბლიკური პარტიაც“. ამიტომ ეს ზოგადი მორგებული კლიშეა, რომელიც ქართული ნარატივიზმის ერთ-ერთი მიმართულებაა. ეს საერთო ლოზუნგია, მაგრამ ვინ როგორ ახორციელებს ამ ლოზუნგს, ეს სხვა საკითხია.

მანანა ნოზაძე

ფეხზე ცხვარივით გამობმული სტრატეგია!

მომავალი არჩევნები ისეთ მიზიდულობას ქმნის, როგორც ვირთაგვისთვის ქონი. რატომღაც ყველა ქარდავა და ხაბეიშვილი თვლის, რომ აუცილებლად პარლამენტის წევრი უნდა იყოს.

გაცვეთილი, ხშირად მოხმობილი ისტორიული მაგალითია, მაგრამ მაინც გამოვიყენებ: სპარტელი პედერატე სამასთა საბჭოს არჩევნებიდან, სადაც მისი კანდიდატურა ჩავარდა, გახარებული დაბრუნდა, ჩემს სამშობლოს სამასი ჩემზე უკეთესი ჰყოლიაო. ვითომ გაიხარებენ ნათელაშვილი ან ელისაშვილი, ამომრჩევლებმა შავი კენჭი რომ ჩაუგდონ? მეტი არაა ჩემი მტერი! გაიხარებენ კი არა, ქვეყანას შეძრავენ, გაგვიყალბესო, იმიტომ რომ, ისინი პედერატეები არ არიან, უბრალოდ შალიკო და ალიკო არიან, რომელთა დიადი ეროვნული მიზნების მიღმა, სრულიად მარტივი საყოფაცხოვრებო ამოცანები იჭყიტება... არადა, რამდენი ასეთი შუბმომარჯვებული ხაბეიშვილი, ხოშტარია, ან თუნდაც ბურჯანაძე დგას სამშობლოს გამბედნიერებლების რიგებში!..

მაგრამ მაინც არის ერთი კაცი, რომელიც აგერ უკვე ათი წელიწადია უცვლელად ჩამობურავს ხოლმე საარჩევნო ცას, როგორც სეტყვის ღრუბელი და მერე სეტყვის რაკეტანაკრავივით აიკრიფება ხოლმე მომავალი ნებისმიერი ხარისხისა და სტატუსის არჩევნებამდე.

აი ახლაც. მიშა სააკაშვილი ყელამდეა ჩაფლული წინასაარჩევნო მარათონში. მით უფრო, რომ იცის, მისი სახელობის ნაცმოძრაობა ისეა დაყოფილ-დანაწილებული, კაცი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს, ყოველ შემთხვევაში, მელიასა და ბოკერიას მეტი. ამიტომ როგორც საერთოეროვნულ ნაციონალურ იდეალსა და ბელადს შეეფერება, ცხენზე ამხედრებული ზოგადეროვნული მოწოდებებითა და ლოზუნგებით კვებავს მომხრე-მიმდევართა თანდათან შეთხელებულ მასას.

მისი თქმით, იგი „ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხალხთან ერთად იდგება ხელჩაკიდებული მმართველი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის „ბეზპრედელშიკებითან“ გადამწყვეტ ბრძოლაში, თანაც — წინა ხაზზე, მიუხედავად იმისა, მოსწონს ეს ვინმეს, თუ არა.

ექსპრეზიდენტი განუხრელად მიზანდასახულია: **ივანიშვილმა 90-იანი წლების კრიმინალური თარეში დააბრუნა. აქ მიშა მარჯვედ ურთავს დაღუპული ფეხბურთელის შაქარაშვილის საქმის გამო ჟურნალისტების მიერ ატეხილი ხმაურით „გამოვლენილი ფაქტებს“: „ბიძინას შვილი ბერა მეგობრობს კანონიერ ქურდთან „კაწროსთან“, რომლებმაც შექმნა კრიმინალური დაჯგუფება — დადიან და ხოცავენ ახალგაზრდებს (მაგ. გიორგიშაქარაშვილს — ა. ა.). „ივანიშვილმა და მისმა პარტნიორებმა ძმებმა ასკანელებმა შექმნეს ასევე გაკრიმინალებული სპორტსმენების, ბანდიტების დაჯგუფება (აქაც შაქარაშვილის საქმეში ფიგურირებული ძიუდოისტისა და რაგბისტების „გამოძახილია“), რომელიც ატერორებს მეწარმეებს, ართმევს ბიზნესს და აშინებს პოლიტიკურ ოპონენტებს.**

სააკაშვილი ბრძოლაში რთავს „მძიმე არტილერიას“: **„მეგობრებო, ჩვენ არ გვყავს მთავრობა, მიმაჩნია, რომ საქართველოს მთავრობა არის მთლიანად არალეგიტიმური და არ ვცნობ მის კანონიერებას, არც ერთი წამით არ ვცნობ იმ სიტუაციის კანონიერებას, რაც საქართველოშია.**

და ისევ არსებითი „უკანონო სიტუაცია“: **„პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, ამერიკის კონგრესმა დაგვადო სანქციები, როგორც ქვეყანას, ჩვენ ვიყავით სანიმუშო, სამაგალითო ქვეყანა (ე. ი. მისი პრეზიდენტობის დროს — ა. ა.) და ახლა სამუდამოდ, საქვეყნოდ მოგვჭრა თავი ივანიშვილმა, ყოველ შემთხვევაში სანამ თვითონაა (და როგორც კი დაბრუნდება, ყველაფერს გამოასწორებს! — ა. ა.).**

დაბოლოს, მთავარი: ეს უკანონობა, ეს არალეგიტიმურობა უნდა დამთავრდეს. და ნუ ეპყრობით მათ ისე, თითქოს ისინი ჩვეულებრივები იყვნენ და ჩვეულებრივი მთავრობა იყოს. ესენი არიან ბანდიტების ხროვა და დაჯგუფება. ესენი არიან საქართველოს მტრები, მოღალატეები და, რა თქმა უნდა, უცხო ძალის, კონკრეტულად კი მოსკოვის მიერ გაკონტროლებულები. ეს ყველაფერი მალე დასრულდება. ამიტომ ჩვენ ყველგან ვმობილიზდებით, ყველგან ჩვენი ახალგაზრდა ბიზნესმენები იკრიბებიან, ჩვენი გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის არის ძალიან ახლოს და ამ ბრძოლაში მე ვარ ერთ-ერთი ჯარისკაცი და თქვენთკან ერთად ვიქნები ერთ-ერთი გამარჯვებული“, — აცხადებს სააკაშვილი.

ერთი სიტყვით, ყოფილი პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის არჩევნების წინ, გამარჯვებით იმუქრება. ეს არის მთელი მისი უცვლელი იდეოლოგია და სტრატეგია, დაფუძნებული სიძულვილზე, შურზე, მტრობაზე, ჭორზე, თავიანთ მიერვე დაყრილ ხმებზე.

ამ იდეოლოგიასა და სტრატეგიას უცვლელად და ურღვევად მიჰყავს ნაციონალური მოძრაობა ნებისმიერ არჩევნებში მარცხამდე და გაუგებარია, წლეულს რატომ სდებენ გამარჯვების იმედს, მით უფრო რომ მათ სათავეში ისეთი სახელგატეხილი, ყოველმხრივ გაშიფრული პოლიტიკოსი უდგას (მისივე სიტყვით!) როგორიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია.

ამრიგად, როგორც იტყიან, ამ კაცის სტრატეგია ცხვარივით აქვს გამობმული ქართულ რადიკალურ ოპოზიციას და ჩასაძირად ექაჩება.

ალეკო ასლანიშვილი

დიდი სასტუმროები და ტურისტული სააგენტოები შიდა ტურიზმის იმედად ვერ იქნებიან!

2020 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტები წლიურად 65%-ით შემცირდება და ტურიზმის სფეროდან შემოსავლები 3,3 მილიარდი დოლარის ნაცვლად 1,2 მილიარდ დოლარამდე ჩამოვა.

რაც შეეხება 2021 წლის პროგნოზს, ტურიზმის სექტორის გაჯანსაღება კორონავირუსის შემცირებაზე იქნება დამოკიდებული. როგორც Galt&Taggart-ის წარმომადგენელი **კახა სამყურაშვილი** აცხადებს, თუ პანდემიის ფონი ჩაცხრა, ტურიზმი მალე აღიდგენს პირვანდელ მდგომარეობას, რადგან საქართველოს მიმართ ინტერესი მაღალია.

რამდენად რთული გამოწვევების წინაშეა ქართული ტურიზმი 2020 წელს?!

ტურიზმის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი **მამუკა ბერძენიშვილი** აცხადებს, რომ შიდა ტურიზმი, ალბათ, დამხმარე იქნება რეგიონებისთვის. მაგალითად, აჭარა განსაკუთრებით ეპიცენტრშია იქიდან გამომდინარე, რომ საზღვაო სეზონს დაემთხვა შიდა ტურიზმის გახსნა. ამიტომ აჭარისთვის და არა მხოლოდ აჭარისთვის, ზოგადად, რეგიონებისა და კურორტებისთვის შიდა ტურიზმი იქნება მცირედი დახმარება იმისთვის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესებმა შეინარჩუნონ სიცოცხლისუნარიანობა სეზონის დასრულების შემდგომაც, ანუ მომავალი წლის ტურისტული სეზონის დადგომამდე.

თუმცა, მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ შიდა ტურიზმი მცირე და საშუალო ბიზნესებს დაეხმარება, ამ სფეროში არსებობს მოთამაშეთა ნაწილი, რომლებიც შიდა ტურიზმისგან, ფაქტობრივად, ვერ იხეირებენ იქიდან გამომდინარე, რომ შიდა ტურისტები გადამხდელუნარიანები არ არიან.

„დიდი ქსელური სასტუმროები და ტურისტული სააგენტოები, ალბათ, შიდა ტურიზმის იმედად ვერ იქნებიან და ვერც გარკვეული სახის კომპენსაციას მიიღებენ ამ პროცესისგან. ამიტომ შიდა ტურიზმი, პირველ რიგში, დაეხმარება მცირე ბიზნესებს, ისეთებს, როგორიცაა გესტჰაუზები, ბინების გაქირავება, რესტორნები, თანაც, ძირითადად ეს ეხება რეგიონებს და შეიძლება ამით შემოვიფარგლოთ შიდა ტურიზმის ანალიზისას საქართველოს ფარგლებში“, — აღნიშნა მამუკა ბერძენიშვილმა და შეკითხვის საპასუხოდ, უნდა ჩანაცვლდეს თუ არა შავ ზღვაზე დასვენების პოტენციალი ეკოტურიზმით, გასტრონომიული და სხვა სახის ტურიზმით, განმარტა, რომ ერთმნიშვნელოვანია, ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია მოხდეს არა მხოლოდ რეგიონებში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით.

ახალგაზრდა ფინანსიტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი კაპანაძე** ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ტურიზმის სექტორიდან, ბუნებრივია, დანაკარგი გვექნება, რაც, სავარაუდოდ, დაახლოებით 2 მილიარდით განისაზღვრება.

„ბოლო პერიოდში საკმაოდ გაზრდილი იყო საერთაშორისო ტურისტების ვიზიტები ჩვენს ქვეყანაში. მართალია, ჩვენ გავხსნით საზღვრებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან მცირე რაოდენობით ტურისტი ჩამოვა საქართველოში და იმდენი ტურისტი არ შემოვა ქვეყანაში, რომ ამან დააბალანსოს წინა წლების განმავლობაში მიღებული შემოსავლები. ტურიზმიდან ჩვენი შემოსავლები 1 მილიარდი იქნება, თუ 2 მილიარდი, ცოტა რთული სათქმელია, მე ვფიქრობ, მილიარდზე მეტი იქნება, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც წინა წლებში იყო. ჩვენ გვექნება საკმაო დანაკარგი ტურიზმის მიმართულებით, თუმცა, თუ შიდა ტურიზმი ამოქმედდება და, ამავდროულად, მოვახერხებთ პანდემიის მართვას მსგავს პირობებში, მე ვფიქრობ, ტურიზმის ინდუსტრია მოახერხებს, ერთი წლის განმავლობაში თავი გადაირჩინოს“...

მარიამ ლოლაშვილი

რუსთაველები ტყე-ჭალის გადარჩენას ცდილობენ

რუსთავის მე-19 მიკრორაიონის მოსახლეობა საპროტესტო აქციებით იმუქრება, თუ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ გააუქმებს დასახლებასთან არსებულ ტყე-ჭალაში ინერტული მასალების მოპოვების ნებართვებს.

რუსთავის მჭიდროდ დასახლებული მე-19 მიკრორაიონი მტკვრის მარჯვენა მხარეს, მდინარიდან დაახლოებით კილომეტრ-ნახევარში მდებარეობს. საცხოვრებელი კორპუსები ტრიალ მინდორზეა გაშენებული, ზოგიერთი კერძო სახლი კი ტყე-ჭალას ესაზღვრება. ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკის და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისთვის გაგზავნილ განცხადებაში აღნიშნავს, რომ ინერტული მასალების მოპოვება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ ტყესაც ისევე გაანადგურებს, როგორც ეს მარცხენა სანაპიროზე სოფელ გაჩიანთან მოხდა. კახა თუთბერიძე, რომელმაც მოსახლეობის წერილი საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა, ამბობს, რომ ტყე-ჭალაში მონიშნულია სამი საკადასტრო ტერიტორია, სადაც, საერთო ჯამში, 24 ჰექტარზე ინერტული მასალების მოპოვებას აპირებენ. რუსთავის ამ უბნის მცხოვრებნი მომპოვებელი კომპანიების დასახელებასთან ერთად, მათთვის ლიცენზიის გაუქმებას მოითხოვენ.

„ჩვენ ვითხოვთ, რომ კომპანიებს შეუჩერდეთ ლიცენზია (ინერტული მასალების მოსაპოვებლად). შესაბამისად, ტყე-ჭალა გამოცხადდეს დაცულ ტერიტორიად. ეს აუცილებელია, რადგან შეიძლება მომავალშიც მსგავსი პრობლემა შეიქმნას და ჩვენც ანალოგიურად მოგვიწიოს ხელახლა ბრძოლა“.

ტყე-ჭალის მარჯვენა მხარეს მოსაჭრელი ხეები უკვე მონიშნულია. ამოღებულია გრუნტის ნიმუშებიც. ამაში „რადიო თავისუფლება“ თავად დარწმუნდა, როცა დასახლების რამდენიმე ბინადართან ერთად ტყე-ჭალაში შევიდა. ვაჟა თოთლაძე დარწმუნებულია, რომ ხეები ლიცენზიის მქონე კომპანიებმა მონიშნეს.

„პირადად არ მინახავს, მაგრამ ბიჭებმა ნახეს ჭალაში ჩამოსული კომპანიის თანამშრომლები. უთქვამთ, კარიერი უნდა გაკეთდესო. აქ რომ კარიერი გაკეთდეს, ქალაქმა რაღა ქნას? ტყე რომ წაგვართვან, დავიღუპებით“.

დასახლების კიდევ ერთი მცხოვრები დავით მირონტაძე გვეუბნება, რომ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვებამ უკვე გამოიწვია ტერიტორიის დაჭაობება.

„ზემოდან მოყოლებული, რამდენ ადგილზეც ამოიღეს ბალასტი, ყველგან დადგა ტბა და ჭაობი. კოღოების ბუდეა. გაუბედურებულია იქაურობა. ერთი პატარა ნაჭერია დარჩენილი, მართლა ოაზისია რუსთავში. სხვაგან გვაქვს რამე? ერთი პარკი გვაქვს და ამოყოლებაზეა ტყე. ესეც თუ წაგვართვეს, რა გვეშველება? როგორ უნდა ისუნთქოს ხალხმა?“

რუსთავის მე-19 მიკრორაიონის მცხოვრები გიზო კვიჟინაძე ამბობს, რომ ტყე-ჭალის მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოჩნდა კორონავირუსის გამო გამოცხადებული კარანტინის დროს.

„ამდენი ახალგაზრდობა, ამდენი ბავშვები, ქალები თუ იყვნენ ჩვენს უბანში, ვერ წარმოვიდგენდი. ვირუსის გავრცელების დროს ტყეში ჩამოდიოდნენ ბავშვები, ქალები, დიდი, პატარა... ასეირნებდნენ დილა-საღამოს. ასწლოვანი ხეების განადგურება დღევანდელ დროს თუ შეიძლება, არ ვიცი“.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს წიაღის ეროვნული სააგენტოს ვებსაიტზე ხელმისაწვდომი დოკუმენტების მიხედვით, მტკვრის ჭალაში ინერტული მასალების მოპოვებისთვის გამოყოფილია სამი ტერიტორია. ერთ-ერთი გაცემულია კომპანია „აკფ“-ზე, რომელიც სამუშაოებს სოფელ გაჩიანის მიმდებარე ტერიტორიაზე პირდაპირ ტყეში აწარმოებს. როცა „რადიო თავისუფლება“ ტერიტორიაზე შევიდა და ამ კომპანიის შესახებ იკითხა, იქ მყოფი სამი ადამიანიდან ერთ-ერთმა, რომელიც გელად გაგვეცნო, გვითხრა, რომ სამუშაოებს კომპანია „ემ-სი-ემი“ ეწევა და შესაბამისი ნებართვაც აქვთ. საჯარო რეესტრის ვებსაიტზე ასეთი კომპანია არ იძებნება. რესპონდენტმა ისიც თქვა, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რომელზეც მე-19 მიკრორაიონის მოსახლეობა მიუთითებს, ლიცენზიას არ ფლობენ. დასახლების მცხოვრებთ კომპანიის გულწრფელობაში ეჭვი ეპარებათ. ისინი სახელმწიფო უწყებებისგან პასუხს ელოდებიან და ხელმოწერების შეგროვებას აგრძელებენ.

დავით მჭედლიძე

ჩინელი ინვესტორი: ვგეგმავთ, რომ ჩვენი წარმოება აზიიდან გადმოვიტანოთ საქართველოში!

ეკონომიკის **სამინისტროს ინფორმაციით, კომპანია „HIP Holding“-ის თავმჯდომარე ჯეიმს ჰონგი ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავას შეხვდა. ჩინელი ინვესტორის თქმით, მათ აქვთ პლასტმასის გადამამუშავებელი ქარხანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და წარმოების საქართველოში გადმოტანას გეგმავენ, რაც არაჩვეულებრივი საინვესტიციო პირობებითაა განპირობებული.**

როგორც მან აღნიშნა საქართველო გეოგრაფიული მდებარეობითა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებით ევროკავშირსა და ჩინეთთან გამორჩეულია.

„პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო მინისტრ თურნავასა და მთავრობის წარმომადგენლებს მოწვევისთვის. ჩვენ გვაქვს პლასტმასის გადამამუშავებელი ქარხანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ვგეგმავთ, რომ ჩვენი წარმოება გადმოვიტანოთ საქართველოში, სადაც არაჩვეულებრივი საინვესტიციო პირობებია, მათ შორისაა, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები ევროკავშირსა და ჩინეთთან და, რა თქმა უნდა, უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა“, — განაცხადა ჯეიმს ჰონგმა.

„გლობალ რაიქლინგმა“ ხობის მუნიციპალიტეტში 30 ჰა მიწა „100 საინვესტიციო შეთავაზების“ პროექტის ფარგლებში პირობებიან აუქციონზე შეიძინა და სამხრეთ — აღმოსავლეთ აზიიდან პლატმასის გადამამუშავებელი ქარხნის გადმოტანას და შემდგომ აღნიშნული მიწოდების ჯაჭვში ჩართული სხვა საწარმოების საქართველოში გახსნას გეგმავს. პირველ ეტაპზე, ინვესტორი 50 მლნ ლარის ინვესტიციას განახორციელებს, ხოლო მომავალში ხობში გეგმავს დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას.

ბახმაროსკენ მიმავალი ავტომობილი ხიდიდან გადავარდა

ბახმაროსკენ მიმავალ გზაზე სოფელ ქვაბღასთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

მერსედესის მარკის ავტომობილი, რომლითაც ერთი ოჯახის 6 წევრი, მათ შორის 8 თვის ბავშვი მგზავრობდა, ხიდიდან გადავარდა. ექიმების თქმით, დაშავებულთაგან ერთის მდგომარეობა მძიმეა.

ნუთუ მართლა სძულთ ქართველებს საქართველო?!.

რატომ სძულთ მაინც საქართველო ასე ქართველებს?! — სამჯერ იმეორებს ამას რეზო ამაშუკელი — ჩემი საყვარელი პოეტი და მეგობრობის გამტანობის ეტალონი თავის ერთ წერილში და მერე დასძენს: ნუთუ დაჩლუნგდა, დაიჩვარა ერის ღირსება, რომ ამათ ყიყინს, უსირცხვილო ყელყელაობას უსმენს და ითმენს მოლოდინის უსასრულობით?

რეზო, ძმაო! ქართველებს არ სძულთ საქართველო, არ დაიჯერო, არც არასოდეს სძულდათ, პირიქით, ქართველთა ხატი იყო მუდამჟამს ეს სა.ნუკვარი ქვეყანა. ვინმე სხვამ კი არა, ჩვენმა აკაკი წერეთელმა ბრძანა: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანაო“, რაფიელ ერისთავმა კი: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“! და ეს სიტყვები არა მხოლოდ მოწოდებად, არამედ არსებობის, ქართველთა არსებობის კრედოდ იქცა.

თუ ეს ასეა, მაშ, რა ხდება? რა ხდება და, ჩემო რეზო, შენისთანა პატრიოტისთვის და ჩვენი დროის უნიჭიერესი პოეტისთვის არაა ცნობილი მავანთა მოქმედების მიზეზები, წარმომავლობა: შენ არ იცნობ ტერმინს **„ობიექტის ოპერატიული დამუშავება“,** არა გაქვს გათავისებული ის საშიშროება, რომელიც არა რომელიმე ჩვენი თანამემამულის, არამედ მთელი მამულის წინააღმდეგაა მიმართული და რომელიც დამყარებულია ჩვენ მიმართ მტრის ზიზღზე და მავან ქართველთა ანგარებასა და ადამიანურ სხვა ნაკლზე. დღეს, ჩემო ძმაო, როგორც არასოდეს, მიმდინარეობს მთელი ერის ოპერატიული დამუშავება, რაშიც ხარჯავენ დიდ თანხებს — მილიონებს და იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიების ყველაზე საშიშ მიღწევებს. როდესაც ერთ სასწორზე დევს მილიონიანი ბიუჯეტი, მეორე სასწორზე მყოფთ არ ძალუძთ, წინ აღუდგნენ ცთუნებებს, რომელსაც საბოლოოდ ერის დაკნინება და დაძაბუნება მოჰყვება. არაფერ შუაში არიან ქართველები, შუაში ჩვენი მტრები არიან, რომლებიც არაფერს იშურებენ ჩვენი ქვეყნის დასაქცევად, ქართველები კი რასაც უძლებენ, რა წნეხს იტანენ, ალბათ, სხვა უფრო დიდი ერებისთვის ასატანი ვერ იქნებოდა.

წკეპლიკა მეორე:

რატომ სძულთ ასე საქართველო ქართველებს? კიდევ ერთხელ უნდა დავადასტურო, თუ რომელ ქართველებზეა საუბარი. ალბათ, ყველაზე უფრო აუგი **„თავის ქართველობაზე“** იოლად ხელეწიფებათ „გენმოდიფიცირებულებს“. ჩახედონ თავიანთ წინაპრებს და მერე ამოიღონ ხმა ქართველების გაუტანლობაზე, აუგზე, მოღალატე ხასიათზე. აი, როგორ გვმოძღვრავს **„კვირის პალიტრა“** (15-21 ოქტომბერი): **„ექსპერტი“** (მე ეჭვის ქვეშ ვაყენებ მის ექსპერტობას, ე. ი. მიუკერძოებლობას) **სანდრო თვალჭრელიძე: „როგორც მოგახსენეთ, ქართველებს ღალატი გვიყვარს და ეს სულაც არ არის საოცარი“.**

ეტყობა, ბ-ნი ექსპერტი საერთოდ არ იცნობს ღალატის ცნებას, ან არ იცნობს ქართველებს, რომლებმაც არა ღალატით, არა ერთმანეთის გმობით, არამედ სიმტკიცით, რჯულის სიყვარულით მოიტანეს დღევანდელ დღემდე თვით ქართველებმა და, მოდით, ნუ მოგვნათლავთ ღალატის მოყვარულად. არ შეიძლება, რომ კაცს, განსაკუთრებით კი ექსპერტს, ასეთი ცუღლუტური მიდრეკილება გქონდეს.

როდესაც რაღაცას ამბობ, აუცილებლად მიზანმიმართულად ამბობ. აბა, რა მიზანს ემსახურება სანდროს (და არა მარტო სანდროს) გამონათქვამი ქართველთა მოღალატე ბუნების შესახებ, რომ ვიღაცამ ქართველმაც და არაქართველმაც, ირწმუნოს ცრუ სიტყვა ქართველთა არასრულყოფილების შესახებ?

წკეპლიკა მესამე:

„ახლა თბილისის მერად გვთავაზობენ „კალიგულას პონს“, თქვა უგულავამ, თანაც თავის საწინააღმდეგოდ ამატებს, **რომ „მე არ მიმაჩნია, რომ თბილისის მერი მაინცდამაინც ხოხობთან ერთად დაბადებული იყოს“.** შე დალოცვილო, თუ შენი სამეგრელოსა და სვანეთის გუბერნატორობა შეიძლებოდა, მაშინ ნარმანიამ ან კალაძემ რა დააშავეს თბილისის მერობით, ნუთუ მეგრელობა ან სამტრედიელობაა აქ მიზეზი?

წკეპლიკა მეოთხე:

„ქართველებს გვერჩივნა, ომი გაგრძელებულიყო, ოღონდ მიწა-წყლის გაფორმება არ მომხდარიყო. საომარი ვითარებით შედეგს შევცვლიდით. ვიღაცა დაიღლებოდა სისხლისღვრით და ვიღაცას შუაგულ რუსეთში მეტი პრობლემები შეექმნებოდა. არაფერი დამღუპველი ევრაზიულ კავშირში არ იქნება, თუ რუსეთი დაიშლება, ავტომატურად ეს კავშირიც დაიშლება და გამთლიანებული საქართველო ამ კავშირიდან გამოვა“. აი, რას ქადაგებს ვალერი გელბახიანი. ნეტავ თუ წარმოგიდგენია, ვალერი ბატონო, საომარი ვითარების გაგრძელების შედეგი — დანგრეული ქვეყანა, ქართველთა გვამების გორები და მოფენილი მინდვრები. ნეტავ როდის დაიღლებოდა „ის ვიღაცა“ ჩვენი ხოცვა-ჟლეტით, რომ შედეგად შენისთანები ევრაზიულ კავშირში გვეხილა და შემდგომ კი მისი დაშლით მიღებული თავისუფლებით გვეხარა.

წკეპლიკა მეხუთე:

„ხალხი ლაპარაკობს, ესენი რად ავირჩიეთო, მაგრამ ვეკითხები ავტორს, რომელ ხალხზეა ლაპარაკი, ალბათ ვინც „ნაცმოძრაობას“ მისცა ხმა. ნუთუ ნათლად არ ჩანს სხვაობა ძველ და ახალ მთავრობებს შორის?

წკეპლიკა მეექვსე:

„ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება „შალახოს“ რიტმების ფონზე მოხდა, რამაც ჩვენი საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. რაღა მაინცდამაინც „შალახო“, თქვე დალოცვილებო?! თუ აკომპანემენტი იყო საჭირო, „ჩაკრულო“ მაინც დაგეგუგუნებინათ“. — ამას ამბობს **ჯაბა ხუბუა,** მე გეკითხები, ჯაბა ბატონო, ეს „შალახო“ კი არ იყო, არამედ ვიქტორ დოლიძის უკვდავი ოპერის „ქეთო და კოტეს“ აპოთეოზი. თქვენ მოგინდათ „ჩაკრულოს“ აგუგუნება, რომელსაც თავისი დრო და ადგილი ჰქონდა და ექნება ქართველთა ცხოვრებაში. თუ აგუგუნებაა, ეს 2008 წელს უნდა გვექნა. მაგრამ შენ ნუ აღშფოთდები და დაიჯერე, რომ ამის დროც და ადგილიც გამოჩნდება საქართველოში. ოღონდ შენ „ქეთო და კოტეს“ ნუ ართმევ ადგილს ქართველთა ცხოვრებაში, უბრალოდ დაიჯერე, რომ მისი აჟღერება სამიტზე დროულიც და საკმაოდ მისაღები იყო. არ ღირდა ამისათვის თავის ატკიება.

გრიგოლ შონია
ტ. 599974644

ყველაზე გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ

შემოსავლის გარეშე დარჩენილი ხელოვანები მთავრობისგან დახმარებას ითხოვენ

პანდემია თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლებზე უარყოფითად აისახა, თუმცა, ერთ-ერთ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ხელოვანები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები აღმოჩნდნენ. დისტანციურ რეჟიმში მუშაობა და რეკომენდაციების დაცვა ანსამბლების და სტუდიების უმრავლესობისთვის რთული აღმოჩნდა.

ანსამბლ „თორდას“ ხელმძღვანელი თამუნა ალადაშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ბავშვთა სტუდიებისთვის არსებული რეგულაციების დაცვა ძალიან რთულია, გარდა ამისა, ბიზნესის კუთხითაც დიდი დანაკარგია, რადგან მოსწავლეების რაოდენობის შემცირება მოუწევთ.

„ჩვენი მუსიკალური სტუდია მარტის დასაწყისიდან უკვე აღარ მუშაობს, ბოლო ხელფასი თებერვალში ავიღეთ, იმის შემდეგ დისტანციურად მუშაობა ვცადეთ, თუმცა, როცა ბავშვს ვოკალში ამეცადინებ, ფიზიკურად შეუძლებელია ამის ონლაინ სწავლება. სტუდიების ხელმძღვანელები შევიკრიბეთ და შევეცადეთ, ჯანდაცვის სამინისტროსთვის ხმა მიგვეწვდინა, მოვითხოვეთ რეგულაციები, რომლებიც მოგვცეს, მაგრამ იმდენად რთული შესასრულებელია, რომ ფაქტობრივად აზრი არა აქვს. მცირე ზომის დარბაზში უნდა დავიცვათ დიდი დისტანცია, რომელშიც გარდა იმისა, რომ ფართის პრობლემაა, თუ ერთმანეთის ხმა სიმღერის დროს ვერ გაიგეს, შეუძლებელია ასე მუშაობა. ვეღარ ტარდება კონკურსები, ფესტივალები, ამიტომ ერთადერთი რაც დაგვრჩენია ის არის, რომ სექტემბერს დაველოდოთ, თუმცა, ისიც ბუნდოვანია, შემოდგომაზე დაიწყება თუ არა სწავლა.

ბიზნესის კუთხითაც დიდი დანაკარგი იქნება, რადგან თუ ადრე 20-30 ბავშვს ერთდროულად ვამეცადინებდით, ახლა 10 ბავშვზე მეტის დასმის უფლება არ გვაქვს. კულტურის სფეროს წარმომადგენლები უმუშევრად დავრჩით და ფაქტობრივად, ყველაზე გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ“, — აცხადებს თამუნა ალადაშვილი.

ქართული ხალხური ცეკვების სტუდია „ვარძიას“ ხელმძღვანელი ქეთევან ზარდიაშვილი აღნიშნავს, რომ გარდა იმისა, რომ ამ ეტაპზე მუშაობას ვერ ახერხებენ, სტუდიების უმრავლესობისთვის ისიც ბუნდოვანია თუ როდის შეძლებენ სწავლის განახლებას.

„პირველი ინფიცირებულის დასახელებისთანავე რეპეტიციები შევწყვიტეთ და უმუშევრად დავრჩით. რეგულაციები დაგვიწესეს, მაგრამ გამორიცხულია, მოცეკვავე პირბადით აცეკვო. სექტემბერს ველოდებით, მაგრამ როგორც მაქვს ინფორმაცია, სწავლის ონლაინ გაგრძელებას გეგმავენ ანუ ამ დრომდე ბუნდოვანია თუ ზოგადად როდის მოგვეცემა მუშაობის საშუალება. თავიდანვე შევეცადეთ ონლაინ რეჟიმზე გადასვლა, მაგრამ არც გამოხმაურება იყო და ზოგადადაც ძალიან რთულია. ჩემი თხოვნა იქნებოდა მთავრობის მიმართ, რომ ინდ. მეწარმეებს მხოლოდ ერთჯერადად 300 ლარით დაეხმარნენ, რაც ძალიან მიზერია, მათგან ფაქტობრივად მხარდაჭერა არ გვიგრძვნია“, — აღნიშნა ქეთევან ზარდიაშვილმა.

ფესტივალი „მზიანი საქართველოს“ დამფუძნებელი თეა დავითაია აცხადებს, რომ პანდემიის პირობებში ხელოვანი ადამიანები ვისაც სტაბილური შემოსავალი არა აქვს, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

„ღონისძიებები და ფესტივალები თვეების განმავლობაში შეჩერებულია. მართალია ერთი ღონისძიება ჩავატარეთ რამდენიმე დღის წინ, მაგრამ ძალიან გართულებული იყო არსებული რეკომენდაციების დაცვა. ყველაზე სამწუხაროა, რომ ბოლო არ უჩანს, როდემდე გაგრძელდება ასეთი ვითარება და აკრძალვები, თუმცა ხელოვანი ადამიანებისთვის ვინც ასე ვთქვათ გამომუშავებით ვცხოვრობთ და სტაბილური შემოსავალი არ გვაქვს, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით“, — განმარტა თეა დავითაიამ.

ნინო თამაზაშვილი

საგამოფენო სივრცე - აღდგენილ ეკლესიაში

ასურეთში აღდგენილ გერმანულ ეკლესიაში საგამოფენო სივრცე მოეწყობა. აქ, თავისი მარშრუტის ფარგლებში, ძალიან ბევრი გერმანელი ჩამოდის, მაგრამ ჩვენი ამოცანა, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, იქნება ამ მარშრუტის პოპულარიზაცია იმისთვის, რომ რეგიონებში უფრო მეტი ტურისტი ვიხილოთ, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

„ესაა ასურეთის რეაბილიტაციის პირველი, საწყისი ეტაპი. მოგეხსენებათ, გერმანიიდან ტურიზმი არის ერთ-ერთი მზარდი სეგმენტი და შარშან, დაახლოებით 30%-ზე მეტით გაიზარდა გერმანიიდან ვიზიტორთა რაოდენობა. გავაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ ეს ნაკადი კიდევ უფრო გაიზარდოს ისეთ ისტორიულ ადგილებში, როგორიცაა ასურეთი. აქ ჩატარდა ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია, სრულად აღდგა ეკლესია, რომელიც იყო დანგრეული, აღდგა გერმანელების სასაფლაო და, გარდა ამისა, რა თქმა უნდა, მოეწყო ის საბაზისო ინფრასტრუქტურა. სახელმწიფოს დახმარებით, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მეშვეობით, ადგილობრივ მოსახლეობას უფრო თამამად, მარტივად შეეძლება, ისარგებლოს ყველა სუბსიდირების პროგრამით“, — განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

„ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“!

2020 წლის 4 ივლისის საღამოს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ქაშუეთის ეკლესიის წინ, მოძრაობა „ერის უფლება და ღირსების“, საზოგადოებრივი გაერთიანების: „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ და ნიუ იორკის ქართველოლოგიური ცენტრის „ბიბლია და საქართველოს“ თბილისის წარმომადგენლობის სახელით, დღევანდელი გარემოების შესაბამისი აქციის წესით, აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლობითმა პატარა ჯგუფმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს ამერიკის დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

ბატონი ტრამპის გამონათქვამებს ქართველი კლასიკოსების, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა ფშაველას გამონათქვამები აერთიანებდა. აქციამ შემხვედრი მოქალაქეების საინტერესო დისკუსია გამოიწვია, რასაც საკმაოდ ემოციური დაინტერესება მოჰყვა ქ-ნ დენიზა სუმბაძის წიგნით: **„ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“.** წიგნი წარმოადგენს ავტორის – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ქალბატონ დენიზა სუმბაძის ღია წერილს, მისი აღმატებულების, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბატონი დონალდ ტრამპისადმი, დასათაურებულია ბატონი ტრამპის სიტყვებით, წარმოთქმულით მის საინაუგურაციო გამოსვლაში და ავტორის მიერ წარმოდგენილია სამი სტრუქტურული ნაწილით: 1) ვინ არის მსოფლიოს ახალი, ანუ დღევანდელი წესრიგის ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგისთვის; 2) რა შეიძლება დავარქვათ იმ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენ, ქართველმა ხალხმა მივიღეთ ამ ე.წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგით“, და 3) რატომ არის აუცილებელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ანალიზი მსოფლიო ისტორიის ჭრილში: **„ბაბილონის ტყვეობიდან“** მეორე მსოფლიო ომამდე, მეორე მსოფლიო ომიდან ე.წ. დღევანდელი მსოფლიოს „ახალ წესრიგამდე“ და დღევანდელი „მსოფლიოს ახალი წესრიგიდან“ **მისი აღმატებულების, ბატონი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამდე** ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სამწუხაროდ, წიგნი ძალიან მცირე ტირაჟით დაიბეჭდა.

* * *

აქვე ვაქვეყნებთ ქ-ნ დენიზა სუმბაძის სამადლობელ წერილს ამერიკის პრეზიდენტისადმი, ბატონი ტრამპისადმი, მისი გამოსვლისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ასამბლეის 74 -ე სესიაზე, 2019 წლის 24 სექტემბერს.

„კაცობრიობის მომავალი ეკუთვნით არა გლობალისტებს, არამედ – პატრიოტებს“!

სამადლობელი წერილი (30 ოქტომბერი, 2019 წელი) მის აღმატებულებას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო!
თქვენო აღმატებულებავ!
ბატონო დონალდ ტრამპ!

თქვენმა სიტყვამ გაეროს ასამბლეის 74-ე სესიაზე უდიდესი სიხარული მოგვანიჭა. უსამართლობად და უმადურობად მიგვაჩნია საგანგებო აღნიშვნის გარეშე დავტოვოთ თქვენი მოწოდებანი მსოფლიო პოლიტიკის გაკეთილშობილებისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის წისქვილზე უშვებს წყალს. დაგლოცოთ უფალმა და არ მოგკლებოდეთ მისი შეწევნა უკვე დალოცვილსა და კურთხეულს ღვთისაგან.

„მსოფლიოს ყველაზე დიდი სცენის“ მაღალი ტრიბუნიდან, როგორც თავად ბრძანეთ, მთელი მსოფლიოს გასაგონად თქვენ წარმოსთქვით ისტორიული სიტყვა: რომ **„კაცობრიობის მომავალი ეკუთვნის არა გლობალისტებს, არამედ პატრიოტებს“!** რითაც თქვენ ამხილეთ გლობალისტური თეორია და იდეოლოგია დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგისა, როგორც მოკლებული ისეთ ადამიანურ განცდასა და გრძნობას, როგორიც არის სამშობლოს სიყვარული. გლობალისტურმა იდეოლოგებმა ადამიანებს, მომავალ კაცობრიობას დაუკარგეს და წაართვეს სამშობლოს სიყვარულის მორალი და ვერ მიხვდნენ, რომ უსამშობლოო კაცობრიობას კავშირი გაუწყვიტეს ღმერთთან.

მსოფლიოს ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან, თქვენ წარმოსდექით როგორც რჩეული იმ ქვეყნისა, რომელიც თავისი საკუთარი გაგებით ყველაზე მეტად აფასებს თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და თვითმმართველობას (Liberty, Endependence, and self - government), და წარმოსდექით როგორც შეყვარებული საკუთარ სამშობლოზე.

სიყვარული უფლისა და სამყაროს შემოქმედისა ადამიანში იწყება საკუთარი დედისა და მამის სიყვარულით, რომელიც გადაიზრდება სამშობლოს სიყვარულში. ვისაც საკუთარი დედმამა და სამშობლო არ უყვარს, ის ვერ შეიყვარებს და ვერ მიაგებს პატივს სხვა ადამიანების სიყვარულს საკუთარი სამშობლოსადმი.

გლობალისტურმა იდეოლოგიამ შექმნა მომთაბარე კაცობრიობის მოდელი და ამით სამშობლოებად განცდილ დედამიწას დაუკარგა ეს სიყვარული. თქვენ დაუბრუნეთ ეს სიყვარული დედამიწას. აქედან უნდა დაიწყოს მისი განკურნება სნეულებათაგან! თქვენ დაუპირისპირდით ცთომილებაში შეყვანილ და „შინაგან წონასწორობადარღვეულ“ გლობალისტურ ხედვას, რომელიც სათავეს იღებს მსოფლიო მმართველობის ცთომილი და ვნებად ქცეული წყურვილიდან. ეს ცთომილება ჰბადებს ფანატიკურ დაჯერებულობას, თითქოს ისინი შექმნილნი არიან მსოფლიოს ხალხების მართვისათვის, იმ ხალხებისაც, რომელთაც მხოლოდ საკუთარი თვითმმართველობა შეუძლიათ რომ აიტანონ.

ძვირფასო ბატონო დონალდ!

თქვენ შეებით განსაკურნებლად უმძიმეს დაავადებას ჩვენი პლანეტისას, უსამართლობის დაავადებას, თავისუფლების უსამართლო წართმევას ადამიანებისაგან. თქვენს საინაუგურაციო სიტყვაში თქვენ ერებს დაუბრუნეთ არსებობის უფლება, რითაც დამპყრობლებს აუკრძალეთ სხვისი კუთვნილი სამშობლოების მიტაცება. გაეროს 74-ე ასამბლეაზე წარმოთქმული სიტყვით თქვენ ბოლომდე გაცხადეთ თქვენს საინაუგურაციო სიტყვაში წამოწყებული პროტესტი. გარდაუვალი აუცილებლობა მსოფლიოს დღევანდელი ე.წ. ახალი წესრიგის იდეოლოგიის შეცვლის — შეცვლისა უეროვნებო კაცობრიობის იდეის უარყოფით. კაცობრიობის მოაზროვნე გონებამ დაგვიტოვა ღვთიურ საგანძურად ცოდნა: არსებობის უფლებისა მთელისთვისაც და მთელის ნაწილთათვისაც. თქვენ შეებრძოლეთ და დაუპირისპირდით დაპირისპირებულებს უფალთან. ღმერთი თქვენთან არის! თქვენ გაიმარჯვეთ! თავს უფლებას ვაძლევთ მადლობა გითხრათ ჩემი საყვარელი ერის სახელით და ყველა ღირსეული ერის სახელით!

ტაშს გიკრავთ თქვენგან შორეული საქართველო!

პატივისცემით,
დენიზა სუმბაძე,
თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი, პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი.

როგორ გავაკეთილშობილოთ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნება

ბატონ კახა იმნაძეს – საქართველოს ელჩს გაეროში

საქართველომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნდა დააყენოს საკითხი 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობისა: ქვეყანაში რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრებისა და ამ გზით მისი ეროვნული თვითმყოფადობის განვითარების უზრუნველყოფისათვის.

ქ-ნი დენიზა სუმბაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ამავე ცენტრის თეორიულ ბაზაზე ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი გაერთიანების „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ და თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

პატივცემულო ბატონო კახა იმნაძე! მოგესალმებით და დიდად მოხარული მივესალმებით თქვენს არსებობას, როგორც საქართველოს სრულუფლებიანი ელჩისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში! უნდა გითხრათ, რომ ჯერ კიდევ 1990 წელს, ჟურნალ „სახელმწიფო და სამართალში“(რედაქტორი, იურიდიულ მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ბ-ნი თედო ნინიძე) მოგვიხდა საყვედურის წერილის გამოქვეყნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, იმის გამო, რომ ქართველი ერი, როგორც ერი არ იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა. და ისეთი დიდი ეროვნული წარსულის ერს, როგორიც ქართველი ერი იყო, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არფლობის გამო, არსებული საერთაშორისო კანონმდებლობით, უფლება არ ჰქონდა, ყოფილიყო დამოუკიდებელი ხმის მქონე ერი მსოფლიოს ერთა შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ახლა, როდესაც ჩვენ ფორმალურად მაინც დამოუკიდელი სახელმწიფოც ვართ და საკუთარი ელჩიც გვყავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, აუცილებლობას ვხედავთ და პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, როგორც მკვლევარ-მეცნიერი მსოფლიო ისტორიისა და კაცობრიული თვითშემეცნებისა, დავდგეთ ჩვენი ელჩის გვერდით და მონაწილეობა მივიღოთ ისეთი პრობლემების საქვეყნო განხილვაში და ისეთი აქტუალური საკითხების დაყენებაში მაინც, რომლებიც უშუალოდ ეხებიან ქართველი ერის სიცოცხლესა და პერსპექტივას, მით უმეტეს თუ კაცობრიობის სიცოცხლესთან ერთად. ამ რანგის საკითხებზე დღეს საქართველოში აქტიურად მუშაობს საზოგადოებრივი გაერთიანება - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2005 წელს დაფუძნებული „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზი“, ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის „ბიბლია და საქართველოს“ თბილისის წარმომადგენლობა, და მოძრაობა „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი, წინამდებარე წერილის ავტორი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების „ჰელსინკის კავშირის“ წარმომადგენლობასთან. თავს ნებას მივცემთ და ვისარგებლებთ საუბრის თემით და, თუ არ შეწუხდებით, მოკრძალებით გთხოვთ, ჩვენი ორივე მხარის ორგანიზაციათა სახელით, მოგვაწოდოთ ოფიციალური დეტალური ისტორია საქართველოს გაწევრიანებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და აგრეთვე განგვიმარტოთ, ამჟამად ინტერნეტ გვერდებზე განთავსებული ოფიციალური მონაცემი საქართველოს გაწევრიანებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, 1992 წელს: აქ, საქართველო, 1992 წელს, წარმოდგენილია ხუთჯვრიანი დროშით, მაშინ როდესაც, ხუთჯვრიანი დროშა, ამ დროისათვის, 1992 წლისათვის, როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა, ცნობილი არ არის და არ არსებობს. ძალიან დაგვავალებთ საქართველოს გაეროში გაწევრიანების ისტორიით დაინტერესებულ ჩვენს ოფიციალურ საზოგადოებებს, რომელთა სახელითაც მოგმართავთ წინამდებარე წერილით, საშუალება მოგვცეთ,სამაგიდო ინფორმაციად გაგვაჩნდეს თქვენგან წარმოგზავნილი ყველაზე კომპეტენტური ტექსტი.

საქართველოს „ჰელსინკის კავშირი“, რომელთანაც ჩვენ ამ საკითხებზე ვთანამშრომლობთ, ეს გახლავთ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ დაფუძნებული პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს საქართველოში, გამოსცემს ტრადიციულ ჟურნალ „მატიანეს“ და არსებობას უნარჩუნებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და მისი განუყრელი თანამებრძოლის, საქართველოს ეროვნული გმირის წოდებით აღიარებულ მერაბ კოსტავას მიერ დაფუძნებული ეროვნული მოძრაობის პოზიციებს. პოლიტიკური გაერთიანების სრულიად საქართველოს „ჰელსინკის კავშირის...“ ხელმძღვანელობას ამჟამად წარმართავს ბატონი მალხაზ მუსერიძე, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვეტერანის, მეოცე საუკუნის საქართველოს ეროვნული მოძრაობის წამყვანი პოლიტიკური ბლოგის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ შემადგენელი ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის „საქართველოს სამეფო ლიგის“ თავმჯდომარის, აწ განსვენებულის, ბატონი მორის მუსერიძის ვაჟიშვილი. საჭიროდ ვთვლით და პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, გაუწყოთ, როგორც საქართველოს ელჩს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ ჟურნალ „მატიანეში“ (რედაქტორი: ბ-ნი ნუკრი ბაღდავაძე). **საქართველოს ჰელსინკის კავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერში (2019 წ.), გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი, ბატონი ანტონიო გუტერიშისადმი მიმართული ჩვენი ერთობლივი წერილი, რომელიც დღის წესრიგში აყენებს ორ საკითხს: 1) პასუხისმგებლობის საკითხს 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოებისას, მსოფლიოს ხალხებისა და ერების თვითმყოფადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში, ანუ ჰელსინკის დეკლარაციაში მოცემული გარანტიების აღსრულების საქმეში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობების გზით და 2) საკითხს, საქართველოს, როგორც კავკასიის პოლიტიკური ცენტრისა და ევრაზიური გზაჯვარედინი ქვეყნის საერთაშორისო მისიის შექმნისას, ამასთან ორგანიზაციული დაფუძნებისას, საკუთარი წვლილის გაღებისათვის პლანეტარული სამშვიდობო ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეში.**

პირველი საკითხი, რის გამოც ვაწუხებთ ბატონ ანტონიო გუტერიშის ჟურნალ „მატიანეში“ გამოქვეყნებული წერილით, სიღრმისეულად არის დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, მისი აღმატებულების, ბატონი დონალდ ტრამპის ახალ მსოფლმხედველობასთან და მის პრინციპებთან ახალი მსოფლიო წესრიგის იდეოლოგიასთან მიმართებაში.ჩემს მიერ წიგნად გამოცემული ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტის, მისი აღმატებულების, ბატონი დონალდ ტრამპისადმი, სათაურით: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“, წარმოადგენს ამერიკის პრეზიდენტის, ბატონი დონალდ ტრამპის მიერ მის საინაუგურაციო სიტყვაში გაცხადებული ახალი მსოფლმხედველობის ანალიზსა და შეფასებას, როგორც დაპირისპირებული მსოფლმხედველობისას ტრამპამდელ, ანუ სიონისტური მოძრაობის მიერ მართულ „მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიასთან“. ამერიკის პრეზიდენტმა თავისი ახალი მსოფლმხედველობით მსოფლიოს პოლიტიკურ აზროვნებას დაუბრუნა სრულიად ბუნებრივი და ადამიანური ცნება , რომელიც, სამწუხაროდ, მსოფლიოს ახალი წესრიგის მმართველმა სიონისტურმა იდეოლოგიამ წაართვა. ეს ცნება გახლავთ: „დედა-სამშობლოს“ ცნება. ამერიკის პრეზიდენტმა, ბატონმა დონალდ ტრამპმა ამ ცნების დაბრუნებით დაანგრია მსოფლიოს ახალი წესრიგის შეფარულ-შენიღბული იდეოლოგია — სვლა მსოფლიოს ახალი წესრიგის სოროსისტულ-სიონისტური იდეალისაკენ: უეროვნებო კაცობრიობის შექმნისაკენ, ანუ ერთი ერისა, რჩეული ერისა და ყველა დანარჩენი ხალხების ერთიან საზოგადოებად გარდასახული მსოფლიოსაკენ. წიგნის სათაური წარმოადგენს ბატონი ტრამპის თვითმოწოდებას დედამიწის ეკოლოგიური განკურნებისაკენ, როგორც აუცილებელსა და პრიორიტეტულ საკაცობრიო პრობლემას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან: 1) ვინ არის „მსოფლიოს ახალი, ანუ დღევანდელი წესრიგის ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგისათვის?! 2) რა შეიძლება დავარქვათ იმ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენ, ქართველმა ხალხმა მივიღეთ ე.წ. მსოფლიოს ახალი წესრიგით?!“ 3) რატომ არის საჭირო მსოფლიოს ახალი წესრიგის ანალიზი მსოფლიო ისტორიის ჭრილში: „ბაბილონის ტყვეობიდან“ „მეორე მსოფლიო ომამდე“, „მეორე მსოფლიო ომიდან“ ე. წ. დღევანდელი „მსოფლიოს ახალ წესრიგამდე“, და დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგიდან მისი აღმატებულების ბატონი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

წიგნად გამოცემული ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, სათაურით „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“ გამოცემულია გამომცემლობა „უნივერსალის“ (დირექტორი ბ-ნი გოჩა ხარებავა) მიერ, სულ სამასი ცალის ტირაჟით: პირველი გამოცემა — 200 ცალი (2018 წ.), მეორე გამოცემა — საგანგებოდ ბათუმში გამართული პრეზენტაციისათვის, ასი ცალი (2019 წ.), ინგლისური რეზიუმეებითა და რუსულ ენაზე შესრულებული სრული თარგმანით. 2019 წლის 13 თებერვალს, წიგნი ჩვენს მიერ წარდგენილ იქნა საპრეზენტაციოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც საქართველოს ცნობილი მეცნიერები ესწრებოდნენ: აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, მსოფლიო მასშტაბის ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ბატონი თამაზ გამყრელიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდებტი, აკადემიკოსი, ბატონი როინ მეტრეველი, აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, ბ-ნი ელიზბარ ჯაველიძე, კომისიის წევრები და ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. კომისიამ ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოუცხადა ავტორის ყველა გამოსვლასა და მსოფლმხედველობრივ პოზიციებს. ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“ წარმოადგენს ერთობლივ გამოცემას: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისას და ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრისას: „ბიბლია და საქართველო“, სერიალით: „მთავარი აზრი“. წიგნის რედაქტორია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედაგოგიკისა და პოლიტოლოგიის საზოგადოებრივი აკადემიების აკადემიკოსი, ბ-ნი რევაზ ბალანჩივაძე, რეცენზენტები: აკადემიკოსი პაატა გიორგაძე და ისტორიკოსი-ეთნოგრაფი ქ-ნი ლეილა მირიანაშვილი.

ძვირფასო ბატონო კახა! გიდასტურებთ რა ჩვენს უღრმეს პატივისცემას, როგორც საქართველოს ელჩს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მოგმართავთ დიდი თხოვნით, როგორც ქართველი ერის ინტერესებიდან ამოსვლით, ისე ჩვენი მთავარი ამოცანით: თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნების გაკეთილშობილების აუცილებლობისათვის ზრუნვით, დაგვეხმაროთ, უზრუნველყოფილ იქნას წიგნად გამოცემული, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, მისი აღმატებულების, ბატონი დონალდ ტრამპისადმი მიწერილი ღია წერილის განხილვა-შეფასება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სადაც, ასამბლეის 74-ე სესიაზე, 2019 წლის 24 სექტემბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა, ბ-ნმა დონალდ ტრამპმა თავისი განაცხადით, რომ „კაცობრიობის მომავალი არ ეკუთვნის გლობალისტებს! კაცობრიობის მომავალი ეკუთვნის პატრიოტებს!“ — საკუთარი მსოფლმხედველობრივი პოზიციები გამოხატული მის საინაუგურაციო სიტყვაში, აიყვანა ახალ დოქტრინალურ ხარისხში. ამავე „ასამბლეის“ აზრი, როგორც ოფიციალური შეფასება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მსოფლმხედველობისა, ამასთან ალტერნატიულისა მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიურ-პოლიტიკური პრინციპების მიმართ, დღეს ჰაერივით სჭირდება დღევანდელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, უმწვავესი საჭიროებით სჭირდება თავად მსოფლიოს ხალხებსა და კაცობრიობის მომავალს. იმედით, რომ გულისხმიერებას არ მოგვაკლებთ, წინასწარ გიხდით უღრმეს მადლობას და გლოცავთ.

უღრმესი პატივისცემით,
დენიზა სუმბაძე,
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

კრემლი მზად არის დასავლეთთან თანამშრომლობისთვის!

ვიდრე წინა სტატიაში დაწყებულ თემაზე საუბარს გავაგრძელებ, შეგახსენებთ, რომ ის ეხებოდა რუსეთის პრეზიდენტის პუტინის სტატიას — გამოქვეყნებულს ამერიკულ ჟურნალში. პუტინის 20-წლიანმა მმართველობამ მრავალი რამ მოუტანა საკუთარ ქვეყანას და გაერთიანებულ დასავლეთს. თუ ამ „მრავლიდან“ რუსეთისთვის მოტანილში გაცილებით მეტია დადებითი, ვიდრე უარყოფითი, დასავლეთისთვის — მისივე გაგებით, უარყოფითი აჭარბებს დადებითს.

ის, რომ რუსეთმა არ გააგრძელა პირველი პრეზიდენტის ელცინის პოლიტიკური გზა, ნეგატიურად ფასდება დასავლეთში. კოლექტიური დასავლეთი დიდ იმედებს ამყარებდა პრეზიდენტ ელცინზე, რომელმაც 1992 წელს აშშ-ის კონგრესში გამოსვლის დროს, იქაურ პოლიტიკურ ელიტას აუწყა კომუნისტური სისტემის დამხობა რუსეთში. გარდა ამისა, მან ხაზგასმით განაცხადა, რომ კომუნისტური ჭირი აღარასოდეს მოევლინებოდა რუსეთს. ელცინმა დალოცა დემოკრატიის „სავანე“ აშშ-ში და ხანგრძლივი არსებობა უსურვა მას.

ძნელია, ასეთზე არ გაამახვილო ყურადღება, არ გაუწოდო მას „დახმარების“ ხელი, რომლის მთავარი მიზანი — ყბადაღებული დემოკრატიის ძახილში რუსეთის დაშლა-დაქუცმაცება, მესამე ქვეყნად გადაქცევა და დასავლეთისთვის საჭირო ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად გამწესება იყო.

პუტინმა შეძლო დასავლური პროექტის წინააღმდეგ შებრძოლება, დაჩოქილი რუსეთის ფეხზე წამოყენება, ეროვნული სულისკვეთების, პატრიოტიზმის გაღვივება.

დასავლეთისთვის ასეთის რამ მიუღებელი იყო.

მიუნხენის კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვის შემდეგ პუტინი დასავლეთისთვის არათუ ძნელად მისაღები, არამედ საძულველი პოლიტიკოსი გახდა. მისი ყველა გამოსვლა, გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი, ნეგატიურად ფასდებოდა და ფასდება დღესაც!

მიუნხენის გამოსვლას, გაეროში, გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლაც დაემატა, მოგვიანებით ყირიმის ანექსია, სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებებიც. გვირგვინი, ყოველივე აღნიშნულისა, იყო ბოლო სტატია, რომელშიც საფუძვლიანად არის გაანალიზებული ისტორიული მომენტებიც, მათ შორის დიდი სამამულო ომის და შემდგომი პერიოდის რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობები.

სტატიის გამოქვეყნება ერთგვარი სიგნალია დასავლეთისთვის, რომ რუსეთმა ყველაფერი კარგად იცის — ავიც და კარგიც, მზად არის დასავლეთთან ნორმალური ურთიერთობებისთვის, ოღონდ ყოველგვარი დიქტატის, ჭკუის სწავლების, დასავლური იდეების რუსეთისთვის თავს მოხვევის გარეშე. მოკლედ რომ ვთქვათ — სუვერენიტეტის, თავისუფლების დაცვისა და ხელყოფის გარეშე.

ფეხზე დამდგარი პუტინის რუსეთი მოითხოვს დასავლეთთან თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე ურთიერთობას, რაც დადასტურდა კიდევაც 1993 წლის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით. კონსტიტუციის ახალი რედაქცია ძალაში, რეფერენდუმის მესამე დღეს შევიდა.

პუტინის ინიციატივით განხორციელებული ცვლილებების შედეგად ხაზი გადაესვა წინა პრეზიდენტის ელცინის აშშ-ის კონგრესში გაკეთებულ განცხადებას — საბჭოეთის 70-წლიანი არსებობის დასამარების თაობაზე და რაც მთავარია, რუსეთის კანონმდებლობაზე საერთაშორისო სამართლის პრიორიტეტულობას.

რუსი პოლიტიკოსები გახარებულები აცხადებენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებმა ქვეყანას ნამდვილი სუვერენულობა და დამოუკიდებლობა შესძინა. დასავლეთი შეწუხებულია კონსტიტუციაში ოჯახის განმარტების ჩაწერით, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის კავშირია და არა ქალისა და ქალის ან კაცისა და კაცის. დასავლეთს არ მოსწონს ისიც, რომ პუტინს ნულოვანი ათვლიდან დაწყებული შეეძლება პრეზიდენტობის კანდიდატად საკუთარი თავის წამოყენება. და ეს მაშინ, როდესაც დემოკრატიულ ევროპაში კანცლერობაზე ან პრეზიდენტობაზე შეზღუდვა არ არსებობს. გერმანიის კანცლერ მერკელს უარი რომ არ ეთქვა პოლიტიკაში დარჩენაზე, ახალი ვადით უეჭველად აირჩევდნენ კანცლერად. სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება.

ქართული პოლიტიკის და საზოგადოების გასაგონად გულწრფელად ვიტყვი: — პუტინი არსად მიდის, არც რუსეთის დაშლაა მოსალოდნელი. უგულებელყოფა გიგანტი, ბირთვული სახელმწიფოსი — უგუნურებაზე მეტია. პოლიტიკური უგულებელყოფა მაქვს მხედველობაში, თორემ საქართველოს ეკონომიკა (თითქმის 75%) რომ რუსეთზეა ჩამოკიდებული, ფაქტია. გვინდა თუ არა, მასთან დიალოგი გარდაუვალია და რაც მალე, უკეთესი, ვინაიდან ატროკებულ ქართულ პოლიტიკას ისეთის მოტანა შეუძლია საკუთარი ქვეყნისთვის, 2008 წლის ომი მონაგონი იქნება.

ობას, არამედ ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, პოლონელი, უკრაინელი, იტალიელი, არაბი, თურქი ჟურნალისტები და ექსპერტები. მსგავსს ვერ იხილავთ ვერც „სი-ენ-ენ“-ზე, ვერც „ბი-ბი-სი“-ზე, ვერც „ევრონიუს“-ზე და ვერც სხვა ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ტელეარხებზე.

აშკარად ანტირუსული ტელეკომპანია „დოჟდი“, „არტივიაი“, რადიო „ეხო მოსკვი“ ხომ „გაზპრომიდან“ ფინანსდებიან?! ჰქვია თუ არა ამას მაზოხიზმი?!

ვინმე წარმოიდგენს, რომ RT-ს ფილიალს აშშ-ში ამერიკა აფინანსებდეს? დაფინანსება კი არა, რუსული RT-ს ერთი კინკილა ოპოზიციური სიტყვა ვერ აიტანა დემოკრატიულმა ამერიკამ და ისეთი შეზღუდვები დაუწესა, ლამის აიძულოს, ტელეკომპანია დახუროს — ფილიალი, სადაც ამერიკელი ჟურნალისტები მუშაობენ.

პროვოკაციები, რომლებიც ვაშინგტონის გარკვეულ რეაქციულ წრეებში იგეგმება და ქართველ ოპოზიციონერთა, უფრო სწორად პროვოკატორთა ხელით ხორციელდება, ცუდი სიგნალია — დაპირისპირების მომასწავებელი. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით დიალოგის დაწყებაა საჭირო ნამდვილის და არა ისეთი სუროგატის, ჟენევასა და პრაღაში რომ აქვს ადგილი.

რაც შეეხება იმ თემის გაგრძელებას, რაზეც დასაწყისში ვწერდი, ვიტყვი შემდეგს — რუსეთის ე.წ. ლიბერალური ძალები, აშშ-ის მიერ უხვად დაფინანსებული, პოლიტიკურ გარდაცვალებას არ აანონსებენ ან ვინ დაანონსებინებს? მისცემენ ამის შესაძლებლობას აშშ-ის გარკვეული ძალები?

ის, რომ რეფერენდუმში მონაწილეებიდან თითქმის 21%-მა (დაახლოებით 20 მილიონმა) მხარი არ დაუჭირა ცვლილებებს — ამერიკელთა ძალისხმევის და მათი რუსი ლიბერალების აქტიურობის შედეგია. ის, რომ აშშ-ის პოლიტიკა გაგანია ხმის მიცემის ჟამს მოსკოვში, საკუთარ დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე ლგბტ-ს დროშას გადმოკიდებს, ხოლო ელჩი გამამხნევებელი სიტყვით მიმართავს რუს ოპოზიციონერებს და ლგბტ-ს წარმომადგენლებს — იბრძოლეთ თავისუფლებისთვისო — არის თუ არა სხვისი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა? განცხადება კანადის ელჩმაც გააკეთა — ანალოგიური სახის. არ ჩამორჩნენ ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, ახალი ზელანდიის ელჩებიც.

ოცი მილიონი სერიოზული ძალაა და მასთან რუსეთის ხელისუფალთა მხრიდან ენის მოჩლექვით ლაპარაკი კარგის მომასწავებელი არ არის. ქართული პოლიტიკის, ექსპერტების, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის განცხადებით, რუსეთში, მედიასივრცე ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება. თუ ასეა, მაშინ ხელისუფლებას მაზოხიზმის სენი სჭირს?

ვერც ერთი ქვეყნის ელექტრონული მედია ვერ დაიკვეხნის ისეთ დემოკრატიას, რასაც რუსულ ტელესივრცეში, მათ შორის სამთავრობოში აქვს ადგილი. ყველა ტელეარხზე მიმდინარე პოლიტიკურ თოქ-შოუებში არა მარტო პირწავარდნილი ანტირუსი, ანტიპუტინელი ლიბერალები იღებენ მონაწილეობას, არამედ ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, პოლონელი, უკრაინელი, იტალიელი, არაბი, თურქი ჟურნალისტები და ექსპერტები.

დასავლეთის წინაშე ქედმოდრეკით ლაპარაკი — გორბაჩოვ-ელცინის პერიოდისთვის დამახასიათებელი დღესაც ძალაშია, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი ამას არ ემხრობა. ხრუშჩოვის მმართველობიდან დაწყებული ანტისაბჭოური, ანტისტალინური პროპაგანდა — ხან აშკარა, ხან შეფარული, მომაკვდინებლად მოქმედებს სისტემაზე. შედეგიც სახეზეა — ჯერ გორბაჩოვის, ხოლო შემდეგ ელცინის ნეგატიური მმართველობა.

ორივენი, ისე, როგორც მათი სულიერი მამა ხრუშჩოვი საფლავშიც არ ასვენებდნენ სტალინს, აყალბებდნენ ისტორიას. აყალბებდნენ სტალინის დროინდელ ისტორიულ დოკუმენტებს, მათ შორის ხელმოწერებს. საბჭოთა ისტორიის დისკრედიტაციის მიზნით, განსაკუთრებით სტალინის, სისტემატურად მსჯელობდნენ კატინის მასობრივი მკვლელობის თემაზე. დისკუსიები ტელეკომპანია RTVI-ზე მიმდინარეობდა, რომელშიც შიგადაშიგ „ქორ“ ლიბერალებთან ერთად ისტორიკოსებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ დახვრეტის გადაწყვეტილება, „მიღებული“ უმაღლესი ხელისუფლების მიერ, ყალბი იყო, მათ შორის სტალინის ხელმოწერაც.

საარქივო დოკუმენტებზე მუშაობამ დაანახვა მათ, რომ დოკუმენტი იმ სიძველისა არ იყო, როგორისაც იმჟამინდელი სხვა დოკუმენტები. მათი მტკიცებით, ის გაყალბებული იყო, თანაც გაუტარებელი ჟურნალში. ისტორიკოსები კატეგორიულად მოითხოვდნენ ექსპერტიზის ჩატარებას, მაგრამ ხელისუფლებას ამის სურვილი არ გასჩენია. მისთვის დესტაბილიზაცია იყო მთავარი — დასავლეთის საამებლად. რასა იქმს პუტინი?

თავის სტატიაში ის სიამაყით აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ დაგმო მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი. ამასთანავე სტატიის გვერდებზე ის ამართლებს პაქტს, როგორც მნიშვნელოვანს საბჭოთა კავშირისთვის.

პაქტის მთავარი თემა გავლენათა სფეროების განსაზღვრაა და არა რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების ოკუპაცია, ამ შემთხვევაში ბალტიისპირა რესპუბლიკების.

მოდით, გავაანალიზოთ იმჟამინდელი ისტორია, მიუნხენის შეთანხმება, რომელსაც ჩეხეთის დაწიხლვა მოჰყვა, შემდეგ კი გერმანიის ნაციზმის გაფართოება ევროპაში. სტალინს ბალტიისპირა ქვეყნების ოკუპაციის არავითარი სურვილი არ ჰქონია. თვით ამ ქვეყნებმა აიძულეს ის, მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა. მაშინ დასავლეთის ქვეყნები ფაქტიურად დაეთანხმხნენ პაქტს, ჩათვალეს რა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელ ნაბიჯად.

გავიხსენოთ ჩერჩილის მიერ 1939 წლის ოქტომბერში გაკეთებული განცხადება: „ნაცისტური საფრთხისგან თავის დაცვის მიზნით აუცილებელი იყო, რომ რუსეთის არმია მდგარიყო იმ ხაზზე, სადაც დღეს არის“.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გალიფაქსი, ლორდთა პალატაში გამოსვლის დროს: **„საბჭოთა მთავრობის მოქმედება საზღვრების იმ ხაზამდე გადაწევასთან დაკავშირებით, შეესაბამება ვერსალის კონფერენციაზე ლორდ კერზონის რეკომენდაციას“.**

ლოიდ ჯორჯი, ცნობილი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე: **„რუსეთის არმიამ დაიკავა ის ტერიტორიები, რომლებიც პოლონეთმა დაიპყრო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. რუსეთის ქმედების შედარება ფაშისტურ გერმანიასთან არის დანაშაულებრივი შეფასება“.**

ისტორიისთვის ვარაუდებით ლაპარაკი მიუღებელია, მაგრამ, როდესაც განიხილება ბალტიისპირა ქვეყნების საბჭოთა კავშირის მიერ „დაპყრობა“, ჭეშმარიტება მოითხოვს ვთქვათ, რომ მსგავს მოვლენას ადგილი არ ექნებოდა, თვით ეს ქვეყნები რომ მოქცეულიყვნენ ისე, როგორც 1939 წელს მათსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელშეკრულება კარნახობდა. სამივე ქვეყანას შეეძლო, გადაეტანა 1940 წელიც და მეორე მსოფლიო ომიც, როგორც საბჭოეთის მოკავშირეებსა და ანტიჰიტლერული კოალიციის წევრებს — დამოკიდებლობის შენარჩუნებით.

ცხადია, ომის დამთავრების შემდეგ ისინი საბჭოთა ორბიტაზე დარჩებოდნენ, ისე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები, მაგრამ მათ სხვა გზა აირჩიეს — ფაშისტებთან თანამშრომლობა!

სამივე ქვეყნის ანტისაბჭოური პოლიტიკის განხორციელების შესაკავებლად კრემლი იძულებული იყო, ულტიმატუმი წაეყენებინა მათთვის — სასწრაფოდ ჩამოეყალიბებინათ ისეთი მთავრობა, რომელიც დაიცავდა ადრე დადებულ ხელშეკრულებას. ლატვიის, ესტონეთის და ლიტვის მთავრობები პრეზიდენტების ულმანისის, პიატსისა და სმეტონას სახით დათანხმდნენ ულტიმატუმს.

სხვა სურათი გვაქვს ფინეთთან. მეორე მსოფლიო ომის დროს ფინეთი ფაშისტური გერმანიის მხარეს იყო და იბრძოდა სსრკ-ის წინააღმდეგ. ფინეთის ომამდე მოსკოვმა ჰელსინკს შესთავაზა ტერიტორიების გაცვლა. მას სურდა ლენინგრადის სიახლოვეს გამავალი საზღვრის გადატანა, რაზეც ცივი უარი მიიღო. ფინეთთან ომის შედეგად მოხდა საზღვრების გადაწევა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა ლენინგრადის დაცვის საქმეში.

ფინეთის არმიას მეფის რუსეთის გენერალი მანერგეიმი მეთაურობდა — მჭიდროდ მოთანამშრომლე ჰიტლერთან.

პარადოქსია, თუმცა ფაქტი — სანკტ-პეტერბურგის ისტორიული ნაწილის ერთ-ერთ სახლზე მანერგეიმის ბარელიეფი მიამაგრეს, რომელსაც პატრიოტებმა საღებავი გადაასხეს. ამ ფაქტს ლიბერალების ისეთი ლანძღვა-გინება მოჰყვა, უარესს რომ ვერვინ ინატრებდა. როგორ შეიძლება ისტორიული პიროვნების ბარელიეფის წაბილწვაო?

ფაშიზმისგან საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს გადამრჩენელი სტალინის სახელის შეურაცხყოფა შეიძლება და საბჭოთა ხალხის მჟლეტელი მანერგეიმის, არა?!

ეს ფაქტები ზღვაში წვეთია რუსეთის საშინაო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებიდან. სტატიის ფორმატი არ იძლევა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ვითარების გაანალიზების მოყვანის შესაძლებლობას. მათ შემდეგ სტატიაში შემოგთავაზებთ.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ჯგუფურად განხორციელებული მკვლელობა... სიკვდილის მიზეზი - ასფიქსია წყალში დახრჩობით!

პროკურატურა გიორგი შაქრაშვილის საქმეზე განცხადებას ავრცელებს.

„მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგების შესახებ და, აქედან გამომდინარე, მიღებული სამართლებრივი გადაწყვეტილების თაობაზე.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გიორგი შაქარაშვილის სიკვდილის მიზეზია ასფიქსია წყალში დახრჩობით.

ამავდროულად, გიორგი შაქარაშვილის ცხედარზე აღინიშნება სიკვდილის წინა ახლო პერიოდში მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით მიყენებული, სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები შუბლის/თავის, ორივე თვალბუდის, ზედა და ქვედა ტუჩის მიდამოებში, მარჯვენა იდაყვის სახსრისა და მარჯვენა წინამხრის მიდამოებში, აგრეთვე მუცლის, საზარდულის, ბოქვენის, წელისა და ორივე დუნდულის მიდამოებში. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული დაზიანებები, იზოლირებულად აღებული, ატარებენ სხეულის დაზიანებათა მსუბუქი ხარისხის ნიშნებს.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე კვალიფიკაციის დაზუსტების შესახებ. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის უკვე არსებულ კვალიფიკაციას დაემატა დამამძიმებელ გარემოებებში ჯგუფურად განხორციელებული განზრახ მკვლელობა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და გამოძიება გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების ნაწილში წარიმართება აღნიშნული კვალიფიკაციით. საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროში გრძელდება ინტენსიური გამოძიება. მიღებული ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე, მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად ჩასატარებელია მთელი რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, შესაბამისი საექსპერტო კვლევით დასადგენია დასკვნაში აღნიშნულ დაზიანებათა წარმოშობის მექანიზმები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. ამავდროულად, მისაღებია ბიოლოგიური, ქიმიური, ტრასოლოგიური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სხვა პირთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მოწმეთა გამოკითხვები და უკვე მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი.

მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, პროკურატურის მიერ მიღებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილება, რის შესახებაც გიორგი შაქარაშვილის ოჯახს და საზოგადოებას პერიოდულად მიეწოდება დეტალური ინფორმაცია. საქართველოს პროკურატურა აღნიშნულ საქმეზე არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მომავალშიც მიაწვდის საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას, რის შესახებაც წინასწარ აუცილებლად გაიმართება კონსულტაცია გიორგი შაქარაშვილის ოჯახთან.

საქმის სირთულის და სენსიტიურობის გათვალისწინებით, პროკურატურა სთხოვს ყველას, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან, რათა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცეს შესაძლებლობა სრულყოფილი გამოძიების ჩასატარებლად და შესაბამისად, პროკურატურას სამართლებრივი გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა აღნიშნულ საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება და დანაშაულის ჩამდენმა პირებმა სრული სიმკაცრით აგონ პასუხი კანონის წინაშე.

ასევე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს პროკურატურა ასაჯაროებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე ფოტოვიზუალური ნაწილის გარეშე“, — აღნიშნულია განცხადებაში.

„ამ საქმეს ვილაც განზრახ აჭიანურებს!..“

დამნაშავეები დანაშაულს აღიარებენ, პროკურატურა დუმს, საქმის ძიება 16 წელი გრძელდება

2004 წელს სვანეთში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად მოკლული მამაშვილი **ომეხი და ევგენი აფრასიძეების** ოჯახი პროკურატურამ დაზარალებულად სცნო. თუმცა, საქმეს ბრალდებული არ ჰყავს. ყოფილი შს მინისტრი **გიორგი ბარამიძე**, რომელიც ამ სპეცოპერაციის მთავარი ფიგურანტი იყო, ბრალი არა აქვს წაყენებული. მეტიც, გამოძიებას ბარამიძე ამ დრომდე დაკითხული არ ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება 2012 წელს დაიწყო. ბარამიძე კი აცხადებს, რომ ამ საქმეს ხელისუფლება წინასაარჩევნოდ იყენებს.

დოდო აფრასიძე, რომელიც ამ სპეცოპერაციის უშუალო თვითმხილველია, ყოფილი პრეზიდენტის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს, რომელმაც აღიარა, რომ უშუალოდ მან გასცა სპეცოპერაციის ჩატარების ბრძანება. დოდო აფრაძიძე ასევე ითხოვს **გიორგი ბარამიძის,** რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობდა, **ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის და ირაკლი ოქრუაშვილის** დაკავებას, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ ამ სპეცოპერაციაში. როგორც დოდო აფრასიძე აცხადებს, სპეცოპერაციის ადგილზე იყო მაშინდელი საზღვრის დაცვის უფროსი **ბადრი ბიწაძე**.

ამ გახმაურებული საქმის ადვოკატი **ირმა ჭკადუა** იხსენებს, როგორ ემუქრებოდა გიორგი ბარამიძე აფრასიძეების ოჯახის ადვოკატებს. მისი თქმით, მაშინდელი შს მინისტრი ღიად ამბობდა, რომ ადვოკატებს მოგვხვდებოდა კბილებში და ამის მტკიცებულებებიც არსებობს. ჭკადუას განცხადებით, სვანეთში სპეცოპერაცია ნამდვილად იყო საზოგადოების დაშინების დასაწყისი საქართველოში, ამიტომ ეს იყო საჩვენებელი სპეცოპერაცია, რომელიც მსხვერპლით დაასრულეს.

ადვოკატს პრეტენზიები აქვს გამოძიებასთან, რატომ არ ხდება ამ საქმის დაჩქარებული გამოძიება, გარდა ამისა, სახელმწიფოსგან ითხოვენ იმ ზიანის ანაზღაურებას, რა ქონებრივი ზიანიც მიადგა ოჯახს. მისივე თქმით, აუცილებელია, დაზარალებულებმა იცოდნენ, რა ეტაპზეა მისული გამოძიება, არსებობენ თუ არა ბრალდებული პირები და თუ არსებობენ, რატომ არ არიან დაკავებულნი.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2015 წელს პროკურატურაში ორი დღე მოწმის სახით დაკითხვაზე იმყოფება გულუას სახელობის სპეცრაზმის ყოფილი ხელმძღვანელი **ზურაბ ქაჯაია**. აღსანიშნავია ისიც, რომ აფრასიძეების განადგურების ბრძანების გაცემა დაადასტურა ყოფილმა პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** და აქვე აღნიშნა, რომ ერთი წამით არ ნანობს ამ გადაწყვეტილებას.

„მე გავეცი ბრძანება მესტიას დაპატრონებული ბანდიტების განადგურების, ერთი წამით არ ვნანობ, ეს იყო აფრასიძეების ბანდა, რომელიც აკონტროლებდა მთელ სვანეთს და რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან გამაგრებული იყო მაღალ კოშკში. ჩემი ბრძანებით, ჩვენი ვეტმფრენებიდან გახსნილი იქნა ცეცხლი, მათ შორის რაკეტებით“, — ეს განცხადება **მიხეილ სააკაშვილმა** 2015 წელს გააკეთა.

მიუხედავად სააკაშვილის ამ აღიარებისა, პროკურატურა არ ჩქარობს, ყოფილი პრეზიდენტისთვის ბრალის წარდგენას, ისევე როგორც ამ საქმის მთავარი ფიგურანტის, ყოფილი შს მინისტრის გიორგი ბარამიძის დაკითხვას და ბრალის წაყენებას. მეტიც, 2015 წელს, **ირაკლი შოთაძემ,** რომელიც მაშინ მთავარი პროკურორის მოადგილე იყო, აღნიშნა, რომ აფრასიძეების საქმეზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს, ხოლო რაც შეეხება გიორგი ბარამიძეს, შოთაძე ამბობდა, რომ აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებითი ბარამიძის დაკითხვის საჭიროება ამ ეტაპზე არ არსებობდა.

თავად **გიორგი ბარამიძე** აცხადებს, რომ აფრასიძეების საქმეს ხელისუფლება წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებს, სხვა შემთხვევაში, საქმეს დახურავდა. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი აცხადებს, სპეცოპერაცია სერიოზული ყაჩაღური დაჯგუფების აყვანის მიზნით ჩატარდა, ორი პირის ლიკვიდაცია კი მას შემდეგ მოხდა, რაც აფრასიძეებმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს.

გამოძიებისგან შედეგს ელოდება შმაგი აფრასიძის შვილი **ლედი აფრასიძე,** რომლის განცხადებით, თავდაპირველად ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა საგამოძიებო პროცესები, ოჯახს ჰქონდა იმედი იმისა, რომ საქმე მალე გაიხსნებოდა, მით უმეტეს, რომ ძალიან ბევრი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა დასაწყისშივე, თუმცა ასე არ მოხდა. for.ge-სთან საუბრისას **ლედი აფრასიძე** აცხადებს, რომ დღეს უკვე პროკურატურას საკმარისზე მეტი მტკიცებულება აქვს იმისთვის, რომ შესაბამის პირებს ბრალი წაუყენოს.

მისი თქმით, ბარამიძის გარდა, ამ საქმეზე ბრალი უნდა წაუყენონ სააკაშვილს, რომელმაც თავად აღიარა, რომ მან გასცა აფრასიძეების ოჯახის განადგურების ბრძანება.

რაც შეეხება ბარამიძის განცხადებას, რომ აფრასიძეების საქმე ხელისუფლებისთვის პოლიტიკური იარაღია ყოველი არჩევნების წინ, ამ პოზიციას არ იზიარებს ლედი აფრასიძე.

„დასრულდეს ეს გამოძიება და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება, რომ შემდეგ ბარამიძემ ვეღარ შეძლოს პოლიტიკური სპეკულაცია, რასაც ახლა აკეთებს და სხვას აბრალებს ყველაფერს. ეს საქმე რომ პოლიტიკური სპეკულაციის საგანი ყოფილიყო, დღემდე ძალიან ბევრმა არჩვენებმა ჩაიარა და შესაბამისად გამოიყენებდნენ.

თუმცა მგონია, რომ ამ შემთხვევაში სხვა მიზეზი არის და მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ვილაცა განზრახ აჭიანურებს ამ საქმეს, რადგან დღესაც თანამდებობაზე არიან ის ადამიანები, რომლებიც მაშინ უშუალოდ იყვნენ ჩართულები ამ სპეცოპერაციაში და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილ დანაშაულებში. მიუხედავად ყველაფრისა, იმედი გვაქვს, რომ გამოძიება ჩვენს სასიკეთოდ დასრულდება და დაისჯებიან დამნაშავეები“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ლედი აფრასიძემ.**

თამთა ქარჩავა

◎ არ გეკადრებათ!

დაბალი ღობე თუ?!

გუშინ პეტრე ბაგრატიონს 255 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ ისტორიულ სამშობლოში ბოროდინოს გმირი არავის გახსენებია ისევე, როგორც რამდენიმე კვირის წინათ — 24 ივნისს დიდ სამამულო (ზოგისთვის — მეორე მსოფლიო ომში) მოპოვებული ისტორიული გამარჯვების 75-ე წლისთავზე მისი მთავარი შემომქმედების — სტალინისა და ბერიას სახელები.

ამ ფონზე ნონსენსად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ თორნიკე შენგელიას ცსკა-ში ჩარიცხვასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება, რომელშიც იგი გულისტკივილს გამოხატავდა რუსული არმიის კლუბში „ჯვაროსანთა“ კაპიტნის გადასვლის გამო.

და ეს მაშინ, როცა უმაღლეს მთავარსარდალს აქამდე ხმა არ ამოუღია იმ ლეგიონერთა გასაკიცხად, რომლებიც ჩვენი ტერიტორიების არანაკლებ მადიანად მიმტაცებელი ოკუპანტი სახელმწიფოს — თურქეთის გუნდებში თამაშობენ. აღარაფერს ვამბობ აზერბაიჯანში გადახვეწილ თანამემამულეებზე, რომელმაც დედის რძესავით შეირგო წინაპართა სისხლით გაჟღენთილი საინგილოს წმიდა ქართული მიწა და თანდათან დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსსაც გვართმევს.

არის თუ არა ეს კურდღლობა? რა საკვირველია, ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, საკუთარ პოზიციას აღნიშნული საჭირბოროტო საკითხის თაობაზე ბევრი უფრო მკვეთრადაც გამოხატავდა (იგივე შეიძლება ითქვას უახლოეს წარსულში გამოვლენილ სილაჩრეზე, როცა მაშინდელი უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებმა მეზობლის შიშით უარი თქვეს ძლევაი საკვირველის — დიდგორობის 12 აგვისტოს აღნიშვნაზე).

თუ ქალბატონი სალომეს ქართულ პოლიტიკურ კარიერას გადავხედავთ, მისი ასეთი ორმაგი სტანდარტი ნამდვილად არ გაგვკვირვებია. მოგეხსენებათ, იგი ჯერ სააკაშვილმა გვიფეშქაშა საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო 2018 წელს ივანიშვილმა დაგვისვა თოჯინასავით პრეზიდენტად. ჰოდა, ისიც განცხრომით სარგებლობს ტურისტულ-საპენსიო თანამდებობებით და ინტენსიურად დანავარდობს აქეთ-იქით, თანაც ცდილობს, რომ არავის აწყენინოს და კოჭი დასავლეთს გაუგოროს.

არადა, ვინ იფიქრებდა, რომ თბილისისათვის ევრობასკეტის მასპინძლობის უფლების მონიჭებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალის შემდეგ, სადაც ზურაბიშვილიც და შენგელიაც ქართულ დელეგაციას წარმოადგენდნენ, მოვლენები ასეთი სცენარით განვითარდებოდა.

რაც შეეხება სამწლიანი ტრანსფერის სპორტულ მხარეს, არმიელები ევროლიგის მოქმედი ჩემპიონები არიან, სულ კი კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი 97-წლიან ბიოგრაფიაში რვაჯერ მოიგეს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ მადრიდის „რეალს“ ჩამორჩებიან.

აღსანიშნავია, რომ ბერძენი მწვრთნელის დიმიტრის იტუდისის გუნდში მხოლოდ რამდენიმე რუსი კალათბურთელი თამაშობს, რაც მშვენივრად მეტყველებს იქაური მთავრობის ყურადღებით გარემოსილი კლუბის მდიდარ ფინანსურ შესაძლებლობებზე (სხვათა შორის, ლეგიონერთა შორის ბალტიისპირელებიც არიან).

მართალია, თორნიკესთან გაფორმებული კონტრაქტის კომერციული დეტალები კონფიდენციალურია, მაგრამ როგორც მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტიდან ირკვევა, შენგელიას ნაკრების ყველა თამაშზე გამოუშვებენ.

რაც შეეხება ევროლიგის ახალ სეზონს, ცსკა პირველ მატჩს „ბარსელონასთან“ გამართავს.

გია პლატონიშვილი

◎ ჩემპიონთა ლიგა

ასე დაწყვილდნენ...

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში, ჩემპიონთა ლიგის 2019-2020 წლების სეზონის პლეი-ოფის, მეოთხედფინალური და მერვედფინალური ეტაპების წილისყრა გაიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ ოთხი 1/8-ფინალური მატჩი გასამართია, გუნდები წინასწარი წისლისყრით 1/4-ფინალში შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

„რეალი“ (ესპანეთი) / „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) — „ლიონი“ (საფრანგეთი) / „იუვენტუსი“ (იტალია) - წყვილი 1,

„ლაიფციგი“ (გერმანია) — „ატლეტიკო“ (ესპანეთი) — წყვილი 2,

„ნაპოლი“ (იტალია) / „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ჩელსი“ (ინგლისი) / „ბაიერნი“ (გერმანია) - წყვილი 3,

„ატალანტა“ (იტალია) — „პარი სენ ჟერმენი“ (საფრანგეთი) - წყვილი 4.

1/2-ფინალური წყვილები:

პირველი წყვილის გამარჯვებული - მესამე წყვილის გამარჯვებული,

მეორე წყვილის გამარჯვებული - მეოთხე წყვილის გამარჯვებული,

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის ოთხი საპასუხო მატჩი 7-8 აგვისტოს გაიმართება:

„ბაიერნი“ — „ჩელსი“ (3:0 პირველი მატჩი),
„ბარსელონა“ — „ნაპოლი“ (1:1),
„მანჩესტერ სიტი“ — „რეალი“ (2:1),
„იუვენტუსი“ — „ლიონი“ (0:1).

მეოთხედფინალური ეტაპი 12 აგვისტოდან დაიწყება და ყველა მატჩი პორტუგალის დედაქალაქ ლისაბონის ორ სტადიონზე („ჟოზე ალვალადე“ და „და ლუჟი“) გაიმართება.

ტურნირის კალენდარი

7-8 აგვისტო. **მერვედფინალის საპასუხო მატჩები.**
12-15 აგვისტო. **მეოთხედფინალური ეტაპი.**
18-19 აგვისტო. **ნახევარფინალური ეტაპი.**
23 აგვისტო. **ფინალი.**

ვიტალი ჯაფარიძე

◎ გამოიცა

საიუბილეო - იუბილარზე

სიმბოლურია, რომ ქართული სპორტის მემატიანის დემიკო ლოლაძის საიუბილეო 70-ე წიგნი (51-ე საფეხბურთო) გამოჩენილ მცველს რევაზ ძოძუაშვილს ეძღვნება, რომლის უმთავრესი მიღწევებიც გასული საუკუნის სწორედ 70-იან წლებს უკავშირდება.

ისიც საგულისხმოა, რომ ღვაწლმოსილმა კალმოსანმა მორიგი კრებული ასევე მრგვალ თარიღს — ძვირფასი „მიხიჩას“ 75-ე წლისთავს დაუკავშირა, რაშიც, ტრადიციისამებრ, ღირსეული წვლილი შეიტანეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და დიზაინერმა კახა ბახტაძემ.

არანაკლებ აღსანიშნავია ის სიუჟეტური ქარგა, რომელიც ავტორსა და მის პერსონაჟს ამჯერად შეურჩევიათ: დიახ, ძირითად სათქმელს ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ოლიმპიადისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების (ოთხგზის) ბრინჯაოს პრიზიორი, ღირსების ორდენოსანი კოლორიტული ფიგურა კონკრეტულ პიროვნებათა ინდივიდუალური დახასიათებით ამბობს.

ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ლეგენდარულ ჩრდილოირლანდიელ ჯორჯ ბესტთან ტოლ-სწორად გამკლავებას, რაც ჩვენი საამაყო თანამემამულის სპორტული კარიერის გვირგვინს წარმოადგენს.

ვფიქრობ, გულშემატკივარი ინტერესით გაეცნობა შედარებით მივიწყებული მოვლენის — თბილისის „დინამოს“ მიერ 1973 წელს ესპანეთის ქალაქ უელვაში მოპოვებული პრესტიჟული „კარაველას თასისადმი“ მიძღვნილ სტრიქონებს, სადაც ქართველებმა იმ სეზონის ჩემპიონთა თასის მომავალი ფინალისტი მადრიდის „ატლეტიკო“ და პოპულარული „ბენფიკა“ დაამარცხეს, ხოლო ფინალში დუბლის შემსრულებელი ვლადიმერ გუცაევი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

დავძენთ, რომ უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხით დაბეჭდილი ეს ალბომი ერთი ამოსუნთქვით იკითხება და წიგნიერ საზოგადოებას მრავალი მნიშვნელოვანი ინფორმაციითა და რელიკვიად ქცეული ფოტოებით ანებივრებს, რაშიც, დარწმუნებული ვარ, ყველა დამეთანხმება.

გიორგი ზოთაძე

ის ჩვენს მიწისქვეშა წარსულს აცოცხლებდა...

აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ხსოვნას



ქართულმა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ოთარ ჯაფარიძე**. იგი 1921 წლის 16 სექტემბერს დაიბადა თბილისში.

1939 წ. დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელსაც 1943 წელს ამთავრებს და იქვე განაგრძობს სწავლას ასპირანტურაში არქეოლოგიის სპეციალობით და პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით ეუფლება ამ მეტად საყურადღებო, ამასთან რთულ პროფესიას.

1944 წელს ბატონი ოთარი ასპირანტურის პარალელურად მუშაობას იწყებს ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1946 წელს დაამთავრა ასპირანტურა. 1948 წ. მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, 1962 წელს კი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1993 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

ო. ჯაფარიძე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, ო. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, 1952 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 40 წლის განმავლობაში (1967-2007 წწ.) სათავეში ედგა არქეოლოგიის კათედრას.

ო. ჯაფარიძის მეცნიერული შემოქმედება მეტად მდიდარია. მისი ნაშრომები უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურის კვლევისადმია მიძღვნილი. სავსებით კანონზომიერია, რომ ო. ჯაფარიძე აღიარებულია კავკასიის ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარად არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეს საყოველთაო აღიარება განაპირობა პრობლემის ფართოდ დასმისა და მისი ღრმად შესწავლის შედეგებმა.

ო. ჯაფარიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობა კოლხური კულტურის შესწავლით დაიწყო. მან არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ამ კულტურის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს - ბრინჯაოს ცულებს. თვით ტერმინი „კოლხური კულტურა“ პირველად აკად. ს.ჯანაშიამ გამოიყენა. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა ე.წ. „ყობანის კულტურის“ სახელით ცნობილი ცენტრალური, იმიერ და ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები, რომელთათვის დამახასიათებელი იყო ერთგვაროვანი (თავისებური ფორმის) ბრინჯაოს ცულები. ჯაფარიძემ სწორედ კოლხური ცულები შეისწავლა. მან დაადგინა კოლხური და ყობანური ცულების კლასიფიკაცია. გაარკვია, რომ კოლხური და ყობანური კულტურები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, თუმცა იმ ურთიერთობის გამო, რაც ძველად კავკასიის ხალხებს შორის არსებობდა, ზოგიერთი მსგავსებაც იყო. ნიშანდობლივია, რომ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მიწის დამუშავების ტიპური იარაღები (თოხი, ბარი და სხვ.) ჩრდილო კავკასიისათვის უცხო იყო. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქაც ცნობილია სამუშაო იარაღების გარკვეული ტიპები, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში არ გვხვდება.ასე რომ კულტურა, რომელიც მეცნიერთა ერთ ჯგუფს ერთგვაროვნად ეჩვენებოდა (ზოგჯერ დავაც მიდიოდა, რა ეწოდებინათ მისთვის კოლხური თუ ყობანური), აღმოჩნდა სხვადასხვა – ორი კულტურა. ამავე დროს, მეცნიერმა განსაზღვრა ამ კულტურათა არსი, მათი გავრცელების არეალი, საწარმოო ცენტრები, ქრონოლოგია და სხვ. დაადგინა, რომ კოლხური კულტურა მიწათმოქმედთა კულტურაა (უპირატესად) და მისთვის აუცილებელი იარაღებია თოხი, ბარი, წალდი და სხვ. სასოფლო-სამეურნეო იარაღები. სრულიად საფუძვლიანად აჩვენა, რომ შიდა ქართლი გვიანი ბრინჯაოს ადრინდელ საფეხურზე კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედის. ამ დანასკვნს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველი ტომების ეთნოგენეზის კვლევისას. როგორც მეცნიერი მიიჩნევს, შიდა ქართლი ის რაიონია, სადაც და საიდანაც მომდინარეობს ქართველი ტომების კონსოლიდაცია, ხოლო ეს კონსოლიდაცია კოლხური კულტურის ბაზაზე უნდა მომხდარიყო.

ო. ჯაფარიძე აქტიურ გათხრით საქმიანობას ეწეოდა. იკვლევდა ბრინჯაოს კულტურის ადრეულ ფენებს. ბრწყინვალე მასალა იქნა მოპოვებული ქვასათალში, ძაღინაში, ნულში (შიდა ქართლი), ცარცის გორაზე, ნაჩერქეზევში, ქორეთში, კარახტანში (საჩხერის რაიონი), აფხაზეთის დოლმენებში, თეთრ წყაროში, ტაბაწყურსა და ზურტაკეტში (თრიალეთი). ო. ჯაფარიძემ, მისთვის დამახასიათებელი საოცარი ოპერატიულობით გამოაქვეყნა ინფორმაციები ახლად აღმოჩენილი სხვადასხვა მასალების შესახებ, რითაც ხელი შეუწყო მის მიერ აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვრის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანას.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ო. ჯაფარიძის ნაშრომებში შეჯამებული და განზოგადებულია მეცნიერული ცოდნა კავკასიის ადრეული და შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანია ო. ჯაფარიძის მონოგრაფიები: „ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში“ (თბ., 1955 წ.) და „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრინდელ საფეხურზე“ (1961 წ.). ამ მონოგრაფიებში (ისინი ავსებენ ერთმანეთს) განხილული პრობლემების წრე ფართოა. იგი კავკასიის ადრებრინჯაოს კულტურების თითქმის ყველა საკითხს მოიცავს. ო.ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა მტკვარ-არაქსის, ენეოლითის და ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლების ერთგვაროვნებას. აღნიშნავს სხვაობასაც.

ო. ჯაფარიძემ რეალურად აჩვენა, რომ ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ცალკეული კულტურები ჩამოყალიბდა; რომ შიდა ქართლის ძეგლები საკმაოდ განსხვავებული არიან სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ძეგლებისაგან. მეცნიერმა წარმოაჩინა თითოეული მასალის ლოკალური თავისებურებები, შინაგანი დინამიკა. მანვე მოგვცა ამ ძეგლების შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგია. ო.ჯაფარიძის წამოყენებული დებულებები შესანიშნავად დაადასტურა შემდგომმა მრავალფენიანი ძეგლების გათხრებმა. მტკვარ-არაქსის კულტურა (III ათასწლეული) ფართოდ ვრცელდება თითქმის მთელ კავკასიაში. იგი სამხრეთითაც იჭრება. ო. ჯაფარიძის ვარაუდით, ამ კულტურის მატარებელ ტომებს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ წინა აზიაშიც. მისივე აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში განსაკუთრებული როლი ქართველურ ეთნიკურ ელემენტს უნდა შეესრულებინა.

ო. ჯაფარიძემ განიხილა აფხაზეთის დოლმენური კულტურა და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ამ კულტურის წარმომავლობისა და რაობის შესახებ. მეცნიერმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ადრებრინჯაოს ხანის დოლმენებში აღმოჩენილი ნივთები ახლო დგას დასავლეთ საქართველოს დაბლობში აღმოჩენილ იმავე პერიოდის ძეგლებთან. წარმომავლობა კი ადგილობრივი ნეოლითური კულტურიდან უნდა იყოს.

ო. ჯაფარიძის მონოგრაფია „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე“ მეცნიერებმა საეტაპოდ მიიჩნიეს კავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლის საქმეში. წიგნი საუნივერსიტეტო პრემიით დაჯილდოვდა.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ო. ჯაფარიძის მეცნიერულ შემოქმედებაში შუაბრინჯაოს ხანის, ე.წ. თრიალეთური კულტურის კვლევა. იღბლიანი აღმოჩნდა თრიალეთის ყორღანები. ძვირფასი მასალა იქნა აქ მოპოვებული. ო. ჯაფარიძემ ცალკეული სტატიები და ორი მონოგრაფია მიუძღვნა. 1960 წელს გამოიცა მონოგრაფია „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“. აქ მოცემულია 1957-58 წლებში თრიალეთში ჩატარებული გათხრების ანგარიში.

თრიალეთური ყორღანების კულტურას ბევრი საერთო აქვს წინა აზიისა და ევროპის იმავე პერიოდის კულტურებთან. ამიტომ რთულია ამ კულტურის რომელიმე ეთნიკური ჯგუფისათვის მიკუთვნება. ზოგი მკვლევარი მას ხურიტებს აკუთვნებს, ზოგი ხეთებს, ზოგადად – ინდოევროპელებს. მეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესი ამ კულტურისადმი განაპირობა სამარხთა გრანდიოზულობამ, მაღალი ხელოვნებით შესრულებულმა ოქროს და ვერცხლის სამკაულებმა, დახვეწილი ფორმის, ნატიფ ორნამენტიანმა შავპრიალა და მოხატულმა თიხის ჭურჭელმა, თასებმა, სასმისებმა და სხვ. ო. ჯაფარიძის დებულებას, რომ საქართველოში შუა ბრინჯაოს კულტურა ადრებრინჯაოს კულტურისგან იღებს სათავეს, ვრცელი და ფართო დასაბუთება აქვს 1969 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“.

ო.ჯაფარიძე დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ მიუხედავად თრიალეთის კულტურის მეტად გამორჩეული იერისა, იგი ბევრ საერთოს ამჟღავნებს წინარე პერიოდში კავკასიაში გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის კულტურასთან. მსგავსება შეიმჩნევა კერამიკის დამზადების ტექნიკაში, ორნამენტში. როგორც ჩანს, თრიალეთის კულტურა წინააზიური კულტურების გარკვეულ გავლენას განიცდიდა, თუმცა იგი აღმოცენებულია ადგილობრივ ნიადაგზე.

თრიალეთის კულტურა, როგორც ო.ჯაფარიძე მიიჩნევს, უნდა წარმოშობილიყო ცენტრალურ კავკასიაში (შიდა ქართლი, ქართლის ვაკე, თრიალეთი) ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ბაზაზე, წინააზიურ კულტურასთან შერწყმის გზით.

ო.ჯაფარიძის ეს დებულება აშკარად დაადასტურა მესხეთ-ჯავახეთში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, სადაც მეცნიერის მიერ გამოვლენილი იქნა თრიალეთური კულტურის ახალი კერა. მესხეთ-ჯავახეთის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურა აშკარად მტკვარ-არაქსულია, ე.ი. უფრო ადგილობრივია. მესხეთ-ჯავახეთის აღმოჩენებს ოთარ ჯაფარიძემ მიუძღვნა საინტერესო ნაშრომი „მესხეთ- ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“.

უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხი, თუ ვის ეკუთვნის თრიალეთური კულტურა. არ არის გასაკვირი, რომ ამ საკითხზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. ო. ჯაფარიძე დეტალურად განიხილავს ყველა მოსაზრებას, არჩევს ამ მოსაზრებათა დამადასტურებელ თუ უარმყოფელ საბუთებს, ლინგვისტურ თუ ანთროპოლოგიურ მონაცემებს და დაასკვნის, რომ რადგანაც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლები უმთავრესად დამოწმებულია შიდა და ქვემო ქართლში, აქვეა დადასტურებული თრიალეთის კულტურის გავრცელების ძირითადი არეალი, ამიტომ ქართველურ ტომებს არსებითი როლი უნდა მიენიჭოს ამ კულტურების ჩამოყალიბებაში.

ო. ჯაფარიძემ მოგვცა თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურის ახალი პერიოდიზაცია, განსხვავებული ბორის კუფტინისეულისაგან – ეს კულტურა ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო და II ათასწლეულის მეორე ნახევრით დაათარიღა. სრულიად გამართლებულია, რომ ოთარ ჯაფარიძის ნაშრომს „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ის იყო ამ პრემიის პირველი ლაურეატი.

ო. ჯაფარიძის მეცნიერული გულისყური მხოლოდ ბრინჯაოს ხანით არ იფარგლება. მისი ნაშრომები ეხება ანტიკური და ფეოდალური პერიოდის ძეგლებსაც. იგი ხელმძღვანელობდა ქვემო ქართლის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ადრესამწათმოქმედო ძეგლების კვლევას. ექსპედიციამ შეიმუშავა ძეგლების არქეოლოგიური გათხრის მეთოდი და მკაცრი მეცნიერული მეთოდოლოგიით შეისწავლა ისინი. მათში გახსნილია ძეგლების ხასიათი, მათი განვითარების დინამიკა, მეურნეობის დონე, სტრატიგრაფიულ ფენათა მონაცვლეობა; დათარიღებულია შესაძლო სიზუსტით. ეს საკითხები ფართოდაა განხილული კოლექტიურ ნაშრომში „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“ (1965-1971 წწ.). ო. ჯაფარიძემ ალექსანდრე ჯავახიშვილთან ერთად სათავე დაუდო კავკასიაში ადრესამწათმოქმედო კულტურების შესწავლას. მათი ნაშრომი „უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე“ მნიშვნელოვანი შენაძენია მეცნიერებისა.

განსაკუთრებულადაა აღსანიშნავი, რომ ო. ჯაფარიძე საგანგებოდ იკვლევს ეთნოგენეზის პრობლემებს. მის ნაშრომში „ქართველ ტომთა ეთნიკური საკითხისათვის“, არქეოლოგიური მასალის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე, ყურადღებაა გამახვილებული კავკასიაში ადამიანთა საზოგადოების ჩასახვა-ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების პროცესზე. სავარაუდოა, რომ კავკასიაში უძველესი ეთნიკური და კულტურული ერთობა არსებობდა, შემდგომში კი ეს ერთობა დაიშალა და კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფები ჩამოყალიბდა. ო. ჯაფარიძის აზრით, კავკასიური ერთობის დაშლის პროცესი VI-V ათასწლეულში უნდა დამთავრებულიყო. ო. ჯაფარიძე იყენებს ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მონაცემებს და დაასკვნის, რომ ქართველურ ტომებს ამ დროისათვის ძირითადად ამიერკავკასიის დასავლეთ და მისი ცენტრალური ტერიტორია ეკავათ.

მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ კავკასიაში III ათასწლეულში ორი დიდი კულტურა ყალიბდება: მტკვარ- არაქსისა და მაიკოპის. განხილულია ამ კულტურათა წარმომავლობის, მათი გავრცელებისა და სხვ. საკითხები. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს კულტურა ხურიურარტული და ქართველური ტომებისა უნდა იყოს. იგი წინააღმდეგია ამ კულტურის მატარებლების ინდოევროპულებად გამოცხადებისა. მნიშვნელოვანია 2006 წელს გამოცემული ოთარ ჯაფარიძის მონოგრაფია „ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან“.

ო. ჯაფარიძემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის შესწავლას. მან ქიმიკოსებთან თანამშრომლობით გამოსცა წიგნი „სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში“. აქ მოცემულია საქართველოში უძველესი მეტალურგიის ჩასახვისა და განვითარების პროცესი ენეოლითიდან ადრეული რკინის ხანამდე. ნაშრომში არაერთი სიახლეა და საინტერესო დასკვნაა მეტალურგიის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით.

ო. ჯაფარიძე გასაოცარი ადამიანური ხიბლით იყო მოსილი. მის დიდ სამეცნიერო მიღწევებს მისივე სანიმუშო ღირსებებით შემკული დიდი პიროვნებაც ამშვენებს.

ო. ჯაფარიძის მდიდარმა სამეცნიერო მემკვიდრეობამ მის სიცოცხლეშივე დაიკავა საპატიო ადგილი ქართული მეცნიერების საგანძურში, რასაც დროთა სვლა მეტი ბრწყინვალებით წარმოაჩენს. დაუვიწყარია გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნა მისი კოლეგების, მრავალრიცხოვანი მოწაფეებისა და ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გენში ჩაბუდებული სიკეთე

ძვირფასო რედაქცია!

სენაკის ქუჩებში დადის ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც გარეგნულად არაფრით არ განსხვავდება სხვებისგან. შინაგანად და თავისი ღირსეული საქმიანობით კი, საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებაა. ეს არის დემურ გადელია, მრავალგზის პარლამენტარი, დიდი ქველმოქმედი, მეცნიერი, პროფესორი, ბიზნესმენი. ახლახან მას 80 წელი შეუსრულდა.

კოლხური გენის მატარებელი დემურ გადელია ჩვენი სახელოვანი გმირების ქუჯის, ცოტნე დადიანის, ჟიული შარტავას ნაკვალევზე გაიზარდა. ფასდაუდებელია მისი მრავალმხრივი საქმიანობა. დავკონკრეტდები და ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან, როცა მე სენაკის №7 საჯარო სკოლას ვხელმძღვანელობდი, 90-იანი წლები იყო, ქვეყანას უჭირდა, სწორედ მაშინ გამოგვიწოდა დახმარების ხელი ბატონმა დემურ გადელიამ, რამაც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, შეუფერხებლად წარმართვის საშუალება მოგვცა.

მას, არც ბობოქარი კორონავირუსის პირობებში დავიწყებია ხალხი. თავისი სახსრებით 50 ტონა პურის ფქვილი და სხვა პროდუქტები დაურიგა ხალხს. გაწეულ სიკეთეზე იგი არასოდეს ლაპარაკობს, რადგან ეს მისი ცხოვრების კრედოა. მე კი მინდა მისდამი მადლიერება ჩემი უბრალო, გულწრფელი ლექსით გამოვხატო.

ხარ წოდებული სენაკის მამად

იუბილარ
დემურ გადელიას

საათის ისრებით დრო იმარცვლება,
სწრაფად იწყება ათვლები,
თურმე ოთხმოცის გამხდარხარ,
აღარ გეტყობა წლები.

ხარ წოდებული სენაკის მამად,
და ხალხის გულის მპყრობელი,
მადლიერების ხმა ისმის,
ირგვლივ ადგილზე მცხოვრების.

მრავალშვილიან ოჯახში,
ღირსებად დაბადებული,
ქველმოქმედების სიკეთე,
გენში გვაქვს ჩაბუდებული.

მრავალჯერ ხალხის რჩეული,
ცნობილი პარლამენტარი,
თავმდაბალი და მზრუნველი,
და არა ამპარტავანი.

დაუღალავი შრომაში,
საქმისთვის თავდადებული,
„არქეოპოლისის“ მფლობელი,
და მისი დამფუძნებელი.

სიმაღლეებზე ასული,
ჩაუქრობელი ლამპარი,
მეცნიერული გათვლებით,
ხალხისთვის მართლა ზღაპარი.

უყვარხარ სენაკელებს
და აქვთ თქვენდამი ნდობა,
მათი გაშლილი ხელები,
გეფიცებიან ძმობას.

მრავალჟამიერ, თქვენი
სიცოცხლე,
უბერებელო მუხავ,
აბა ვის უნდა უკვირდეს,
ხალხს რომ უყვარდეთ მუდამ.

ყვავილებს

დემურ გადელიას
შვილიშვილებს

ზოგჯერ ჩუმად მეღიმება,
ყვავილი რომ მესალმება,
ჩემგან ითხოვს დახმარებას,
მარტოა და მეცოდება.

ხშირად წყალი ეპკურება,
დილის ნამი ეფინება,
სურნელება ემატება,
ყვავილი რომ ეფურჩქნება.

არასოდეს მომწყინდება,
ჩემი მოვლით ლამაზდება,
მზე-ჰაერის შეზავებით,
ვხედავ მალე რომ იზრდება.

არემარე ფართოვდება,
როცა ღერო ეტოტება,
მზის სხივები ეფერება,
ცქერით წლები მემატება...

ლამარა
გეგენავა-ლაზარია

საქართველოს დამსახურებული
პედაგოგი, ისტორიკოსი, სენაკის
საპატიო მოქალაქე.

ქვევრის ღვინის კონკურსი

ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი უკვე მეოთხედ გაიმართა. კონკურსის მიზანი საუკეთესო ქვევრის ღვინოების წარდგენა, ქვევრის ღვინის წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობაა.

კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე ენოლოგი, საქართველოს დამსახურებული მეღვინე გიორგი დაქიშვილი იყო.

გამარჯვებული ღვინოები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ონლაინ-დეგუსტაციებზე გაიგზავნება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეღვინეობის დარგში პანდემიით გამოწვეული სირთულეების ფონზე.

„წელს კონკურსზე 460 ღვინის ნიმუში იყო წარმოდგენილი, რაც 3-ჯერ აღემატება პირველ კონკურსზე წარდგენილ ღვინოების რაოდენობას. ეს მეღვინეების მხრიდან კონკურსისადმი დიდ ინტერესზე მიუთითებს. ჟიურის შემადგენლობაში საერთაშორისო რანგის ქართველი ღვინის ექსპერტები შედიოდნენ. ისინი თანხმდებიან, რომ ქვევრის ღვინის ხარისხი ყოველწლიურად უმჯობესდება. მისასალმებელია, რომ კონკურსზე ქვევრის ღვინო საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან იყო წარმოდგენილი“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, კონკურსის ჟიურის წევრმა ლევან მეხუზლამ.

გამარჯვებული ღვინოები ივლისის ბოლომდე დასახელდება.

„კონკურსისადმი ინტერესი ძალიან დიდია, განსაკუთრებით პატარა მარნების მხრიდან. ბევრმა მათგანმა კონკურსზე თავისი პირველი პროდუქტი წარმოადგინა. ეს მათთვის ძალიან კარგი სტიმულია შემდგომი განვითარებისთვის. კონკურსი გვაძლევს შესაძლებლობას, შევაფასოთ, რა მდგომარეობა გვაქვს დღეს ქვევრში წარმოებული ღვინის ხარისხთან დაკავშირებით“, — აღნიშნა ასოციაცია „ქართული ღვინოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა თინა კეზელმა.

კონკურსი „ასოციაცია ქართული ღვინოს“ ორგანიზებით და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა.

ქვევრის ღვინის კონკურსი წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის კომპლექსის ტერიტორიაზე გაიმართა. სწორედ წინანდლის პარკში მდებარეობს 1835 წელს აშენებული საქართველოში ერთ-ერთი პირველი მარანი, სადაც ბოთლში პირველად ჩამოისხა ქართული ღვინო.

ნოტრ დამის შპილს პირვანდელი სახით აღადგენენ

პარიზის ღვითისმშობლის ტაძრის, ნოტრ დამის ხის ქონგურს, იგივე შპილს, რომელიც გასულ წელს გაჩენილ ხანძარს შეეწირა, პირვანდელ სახეს დაუბრუნებენ.

აღნიშნული განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გააჟღერა, რითაც ბოლო მოუღო გამოთქმულ ვარაუდებს იმის შესახებ, რომ შესაძლოა შპილი თანამედროვე დიზაინით აღედგინათ.

მანამდე მაკრონი ირიბად მიანიშნებდა, რომ იგი თანამედროვე დიზაინის მომხრე იყო.

მაკრონმა ასევე თქვა, რომ სურს, ტაძრის რესტავრაცია 2024 წლისთვის დასრულდეს, როდესაც პარიზი ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობს.

ფრანგული მედიის ინფორმაციით, ტაძრის სრულ რესტავრაციას დაახლოებით 8 მილიარდი ევრო დასჭირდება.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი
საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ
შეუკვეთავი მასალები
დაიბეჭდება
ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები,
შესაძლოა, მუდამ
არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აგებენ
ავტორები.

„საქართველოს
რესპუბლიკა“
შენი გაზეთია,
აუცილებლად
გამოიწერე, რასაც
აქ წაიკითხავ,
სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0600; ევრო - 3.4655;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8681;
100 რუბლი - 4.3263; თურქული ლირა - 0.4456;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8000;
1000 სომხური დრამი - 6.3011.

ამინდი 11 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge